ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 11 მაისი, 2022 №91 (8869) ფასი: 80 თეთრი



შსს ცოტნე კობერიძეს ღარიბაშვილისთვის „ბიძინას მონას“ დაძახებისთვის სასამართლოში უჩივის

ბექა შენგელიამ პროკურორებს ფეხსაცმელი ესროლა

„რუსეთ-ამერიკის ომი იწყება“



სოსო ცინცაძე: „ლენდ-ლიზი“ ნიშნავს ამერიკის მთელი მრეწველობის მთლიანად სამხედრო რელსებზე გადასვლას“

„სააკაშვილს შეუძლია სხვა ქვეყანაში სცადოს ბედი“

იაგო ხვიჩია: „ნაციონალური მოძრაობა უნდა დაიშალოს და სააკაშვილი გადაიყვანონ საზღვარგარეთ სამკურნალოდ“

„ნაცმოძრაობას ყველა გეგმა ჩაეფუშა... „ოცნება“ სერიოზულ დარტყმას მიიღებს დასავლეთისგან“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქვეყანაში ორი მსახიობის თეატრია და სცენაზეა საწოლში მწოლიარე სააკაშვილი“

„საქართველოში პოლიტიკური მონოპოლიაა. დრო, პოლიტიკური სპექტაკლებიდან გამოვიდეთ“

მამუკა გიორგაძე: „პოლიტიკურ ველზე მუდმივად ხდება ხელოვნური დაპირისპირებები. საქართველო ვერ ვითარდება. ევროპელებმა შესანიშნავად იციან საქართველოში არსებული მდგომარეობა“

„ჩვენი ქვეყანა მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს“

სოზარ სუბარი: „სააკაშვილის ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს“

გიორგი საგარეიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა“ თავის ბელადიანად ხართ ცხვრის ქურქში გახვეული მგლები“

1993230720223

3 დიმიტრი ხუნდაძე: „იქნებ მამა მელიამ ჩემზე ირიბი მტკიცებულებები მაინც წარმოადგინოს“

5 რა უნდა ვიცოდეთ ბინის გაქირავებისას, რომ სასამართლოებში წლების გატარება არ გახდეს საჭირო

5 საქალაქო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი მე-3 პრეზიდენტის გარეშე გაიმართა

6 ბაიდენმა უკრაინისთვის ლენდ-ლიზის კანონს ხელი მოაწერა

„რუსეთ-ამერიკის ომი იწყება“

სოსო ცინცაძე: „ლენდ-ლიზი“ ნიშნავს ამერიკის მთელი მრეწველობის მთლიანად სამხედრო რელსებზე გადასვლას“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, უკრაინის ვიცე-პრემიერმა განაცხადა, რომ საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობაზე მოცდა მოუწევთ რამდენიმე პოლიტიკური ციკლის განმავლობაში. როგორ შეიძლება აიხსნას ეს განცხადება?

– უკრაინის არც უნდა გვეწყინოს და არც უნდა შეგვშურდეს. ახლა უკრაინა ისეთ დღეშია, რომ მათი ბევრი განცხადების რაციონალური ახსნა შეუძლებელია.

მთელი დასავლეთის ყურადღება სავსებით სამართლიანად უკრაინისკენ არის. ომი უკრაინაშია და სრულიად გასაგებია ეს ყურადღებაც. თუ ევროკავშირთან მიმართებით ვისაუბრებთ, გადაწყვეტილება ევროკავშირმა, 27 წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს და არა უკრაინამ.

– ყველაზე მეტი რას უნდა ველოდოთ?

– ბოლოს და ბოლოს, წევრობას. საქართველო ერთ მშვენიერ დღეს ნამდვილად გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მაგრამ სამწუხაროდ, მე ამას ვერ მოვესწრები. წევრობა არის მიზანი, აქეთკენ უნდა ვიყოთ



მთლიანად მიმართული. თუმცა, რასაკვირველია, ეს არ იქნება მარტივი გზა, ია-ვარდებით მოფენილი. გარდა იმისა, რომ კანონების სრული ჰარმონიზაცია უნდა მოვახდინოთ ევროკავშირის სტანდარტთან, პირველი, რაზეც გვეტყვიან, სასამართლო სისტემა იქნება. როგორ დავაჯერებთ, რომ უცებ მურუსიძე ინგლისელ ლორდ მოსამართლედ გადაიქცა. ამას „ქართული ოცნება“ ჩვენ ვერ გვაჯერებს და შარლ მიშელს დააჯერებს?! რეფორმები ხელშესახები უნდა იყოს, თითოეულმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს.

– რამდენად მოსალოდნელია, გამარტივებული წესით მოხდეს სამივე ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება? ურსულა ფონ დერ ლაიენმა ევროკავშირში გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პროცედურის გაუქმებას მხარს დაუჭერო.

– ძალიან გაუჭირდება ამ გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირს. ეს უკვე იქნება პრინციპზე უარის თქმა და შეიძლება, საერთოდ დაიშალოს. ამიტომ, არ მგონია, რადგან ეს სისტემა დემოკრატიაზე, კონსენსუსზე დაფუძნებული სისტემაა. რა თქმა უნდა, 27 წევრი სახელმწიფოს შეთანხმების მიღწევა ანელებს გადაწყვეტილებების მიღებას, მაგრამ ასე მუშაობს დღემდე ევროკავშირი. ცხადია, ბევრი ბიუროკრატიული ელემენტია და ეს კარგად გამოჩნდა ახლა, როდესაც სანქციების მეექვსე პაკეტი უნდა დაამტკიცონ, რომელიც რუსულ ნავთობზე ემბარგოს დაწესებას გულისხმობს და რომელსაც უნგრეთი და ბულგარეთი ეწინააღმდეგება. როგორც ცნობილია, მაკრონი ცდილობს ურბანის დაყოლიებას, ვნახოთ თუ დაარწმუნებს.

თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე არ გამოვრიცხავ, რომ გამონაკლისი დაუშვან უკრაინისთვის და უკრაინამ დაჩქარებული წესით მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რასაც ვერ ვიტყვი საქართველოსა და მოლდოვაზე. როდესაც უკრაინაში იყო ჩასული ურსულა ფონ დერ ლაიენი და ზელენსკის შეხვდა, უთხრა კიდეც, გამონაკლისს დავუშვებთ თქვენზეო. თუმცა, ეს გამონაკლისი კითხვარის შევსებას ეხებოდა.

– „ლენდ-ლიზზე“, ამერიკის კანონზე მინდა გკითხოთ, რომელსაც პრეზიდენტმა ბაიდენმა 9 მაისს სიმბოლურად მოაწერა ხელი. ეს ნიშნავს ამ ომში გარდატეხას?

– დიახ, ეს ნამდვილად ნიშნავს ომის ახალ ფაზაში გადასვლას. ეს უკვე არის ამერიკის ომი. პირველ რიგში ამას ნიშნავს, ამ კანონის ამოქმედება 75 წლის შემდეგ, როდესაც 1941 წელს, მეორე მსოფლიო იმის დროს, ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა „ლენდ-ლიზი“ აამოქმედა ანუ კანონად აქცია და მან გადამწყვეტი როლი შეიტანა გამარჯვებაში. პირველ რიგში „ლენდ-ლიზი“ ნიშნავს ამერიკის მთელი მრეწველობის მთლიანად სამხედრო რელსებზე გადასვლას. მაგალითად, 1941 წელს ამერიკული „ფორდი“ სამხედრო თვითმფრინავებს უშვებდა. „კრაისლერი“ ტანკებს უშვებდა. როდესაც „ლენდ-ლიზი“ იწყებს ამოქმედებას, ეს ნიშნავს რესურსების ამოქმედებას. ამერიკის რესურსები კი ამოუწურავია რუსეთისგან განსხვავებით. რუსეთის ტექნიკა ამოწურვადია, რუსეთს იარაღს არავინ მიაწვდის. ამერიკას კი შეუძლია განუსაზღვრელი რაოდენობით აწარმოოს სამხედრო ტექნიკა და მიაწოდოს უკრაინას. ამ კანონის ამოქმედება ნიშნავს, რომ პრეზიდენტ ბაიდენს გაეხსნება ხელ-ფეხი. ის უკვე ერთპიროვნულად გადაწყვეტს რამდენი იარაღი და რა იარაღი მიაწოდოს უკრაინას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხში მას ორპარტიული მხარდაჭერა აქვს. პრეზიდენტ რუზველტს, მართლაც რომ გენიოსი მრჩევლები ჰყავდა. საოცარია, ეს არც იარაღის მიყიდვაა და არც ჩუქება, ეს არის იარაღის იჯარით გადაცემა. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ეს უკვე რუსეთ-ამერიკის ომია.

ეს საკითხი კარგად მაქვს შესწავლილი, ჩემს წიგნში 200 გვერდი, მთელი თავი მივუძღვენი „ლენდ-ლიზის“ კანონს.

– ჩვენც უნდა ვითხოვდეთ თუ არა შეიარაღებას? ალეკო ელისაშვილმა, რატომ არ ვითხოვთ შეიარაღებასო, მიმართა ხელისუფლებას. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ომს მაინც ვერ მოვიგებთ, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება უნდა მოვითხოვოთო.

– რაც არ უნდა მოვითხოვოთ, ახლა შეიარაღებას არ მოგვცემენ. ელემენტარულად სანქციებს არ ვუერთდებით და რა შეიარაღებას მოგვცემენ, მაგრამ ყველა კარზე უნდა ვითხოვდეთ დახმარებას, მხარში დგომას, რადგან რუსეთს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთთან ომში ვართ, მართალია, ეს თუ ვინმემ იცის, იცის ამერიკამ, მაგრამ ყოველდღიურად უნდა შევახსენოთ, რომ რუსეთს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს.

„სააკაშვილს შეუძლია სხვა ქვეყანაში სცადოს ბედი“

იაგო ხვიჩია: „ნაციონალური მოძრაობა უნდა დაიშალოს და სააკაშვილი გადაიყვანონ საზღვარგარეთ სამკურნალოდ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გირჩის ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.

– ბატონო იაგო, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ვნებათაღელვა არ ცხრება. ნაცმოძრაობა მის ქვეყნიდან გაყვანას ითხოვს სამკურნალოდ. რას იტყვით თქვენ და რა ინფორმაცია გაქვთ მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით?

– სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას რაც შეეხება, მე ვერ შევაფასებ. მოგეხსენებათ, რომ ექიმი არა ვარ. რაც შეეხება მის საზღვარგარეთ გადაყვანას, მიხეილ სააკაშვილის დაკავებიდან, ჩვენ პირველები ვიყავით, რომლებიც ამას სულ ვითხოვდით და ვაკრიტიკებდით ნაციონალურ მოძრაობას, რომ სააკაშვილის კლინიკაში გადაყვანას კი ნუ ითხოვდნენ, არამედ მოეთხოვათ მისი საზღვარგარეთ გადაყვანა სამკურნალოდ. ცოტა მოგვიანებით, რამდენიმე თვის დაგვიანებით, მაგრამ დაგვიჯერეს. ახლა ახალი მოთხოვნა აქვთ და არ შველის ეს მოთხოვნა.

– აბა რა უნდა ქნან? არ უნდა მოითხოვონ?

– თავიდანვე უნდა მოეთხოვათ და ის კამპანია, რაც აწარმოეს გლდანის ციხიდან გორის ჰოსპიტალში გადასაყვანად, სინამდვილეში ყოფილიყო მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანის კამპანია. ახლა საჭიროა უფრო რადიკალური ზომების გატარება იგივე შედეგის მისაღებად და ჩვენ ვთავაზობთ, რომ დაიშალოს ნაციონალური მოძრაობა და სანაცვლოდ მიხეილ სააკაშვილი გადაიყვანონ საზღვარგარეთ სამკურნალოდ. იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში, „ქართული ოცნებას“ რაღაც არგუმენტი ხომ უნდა ჰქონდეს თავის მომხრეებთან, რატომ ასრულებს მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნას. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ასეთ არგუმენტი შეიძლება იყოს ნაცმოძრაობის დაშლა. ეს შესაძლოა იყოს ალტერნატიული სასჯელი მიხეილ სააკაშვილისთვის. ამით, მე მგონი, ყველა მოგებული იქნება. პოლიტიკური პარტიებიც, „ქართული ოცნებაც“, მიხეილ სააკაშვილიც და ყველა.

– რამდენად წავა ნაცმოძრაობა ამაზე, საკითხავია?

– ნაციონალური მოძრაობა არის მტრის ხატი „ქართული ოცნების“ ხელში. „ოცნება“ მათ იყენებს თავისი მიზნების მისაღწევად და ისინი არიან ინსტრუმენტი „ქართული ოცნების“ ხალში. რატომ უნდა გინდოდეს, იყო პატიმარი და თან ინსტრუმენტი სხვის ხელში.

– ძალიან მოგებულია „ქართული ოცნება“ ამ სიტუაციით. სხვა თემა აღარ არსებობს, ყველაფერი გადაფარა სააკაშვილის ავადმყოფობამ. ანუ ორივეს აწყობთ ეს სიტუაცია? თუ მხოლოდ „ოცნება“ იყენებს სააკაშვილის თემას სათავისოდ?

– კი, მაგრამ მიხეილ სააკაშვილს იყენებს როგორც „ქართული ოცნება“, ისე მისი პარტია, გამორიცხულია, რომ მიხეილ სააკაშვილს ეს სიტუაცია აწყობდეს. იქცეს ინსტრუმენტად და თანაც იყოს პატიმარი.

– სერიოზული კრიტიკა ისმის ბოლო პერიოდია ნაციონალების მისამართით, რომ არც ზედმეტად აქტიურები არიან, არც აქციებით გამოირჩევიან. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– მე ვფიქრობ, რომ უნდა დაიშალონ. თუ არ შეგიძლია საკუთარი ლიდერის გათავისუფლება, 500 ათასი კაცის მხარდაჭერის მიუხედავად, ჩემი აზრით, უნდა დაიშალონ და სხვას უნდა მისცენ შანსი!

– და სად არის ეს 500 ათასი კაცი? 500-კაციან აქციებსაც ვერ აწყობენ.

– ჰოდა, სწორედ მაგიტომაც უნდა დაიშალოს ნაციონალური მოძრაობა.

– ხელისუფლების პოზიციაზე რას იტყვით? რამდენად რისკავს სააკაშვილის ჯანმრთელობით?

– მე არ ვიცი, შეიძლება რისკავს კიდეც, მაგრამ სხვისი ჯანმრთელობით გარისკვა უფრო მარტივია, ვიდრე საკუთარით.

– სააკაშვილს რომ ციხეში რამე მოუვიდეს, ეს ხომ გაანადგურებს ქვეყნის იმიჯს?

– „ქართულ ოცნებას“ ეს თემა რომ აღელვებდეს, მე მგონი, სააკაშვილი არც იქნებოდა

ციხეში. ნაცმოძრაობა უნდა დაიშალოს და ამ შემთხვევაში აზრს კარგავს სააკაშვილის პატიმრობა, თუ მას არ გააჩნია პარტია და არ არის ქართულ პოლიტიკაში. სააკაშვილს შეუძლია სხვა ქვეყანაში სცადოს ბედი, იქ ბევრად მეტი გამოწვევებია, ვიდრე რუსთავის ციხეში ჯდომა.

– მტრის ხატს ველარ შექმნის „ოცნება“ და გაუშვებს?

– თუ ნაცმოძრაობა არ არსებობს, აღარც მტრის ხატი იარსებებს. თუკი დაიშლება ნაციონალური მოძრაობა, პირველები ვიქნებით, ვინც მოითხოვს სააკაშვილის განთავისუფლებას.

– თუ შესთავაზეთ ნაცმოძრაობას ეს იდეა?

– საჯაროდ ვამბობთ და შეუძლიათ გაიგონ.

– იცით მათი პოზიცია ამაზე?

– ჯერჯერობით ამაზე კომენტარს არ აკეთებენ.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაცმოძრაობას ყველა გეგმა ჩაეფუშა... „ოცნება“ სერიოზულ დარტყმას მიიღებს დასავლეთისგან“

პაატა ზაქარეიშვილი: „ქვეყანაში ორი მსახიობის თეატრია და სცენაზეა საწოლში მწოლიარე სააკაშვილი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? თქვენთვისაც ცნობილია, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ლენდ-ლიზის მოაწერა ხელი. რამდენად სერიოზული დახმარებაა და რა მოლოდინები გაქვთ?

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი დახმარებაა, მიუხედავად მისი სახელისა. ანუ სახელი ცალკეა და დახმარება კიდევ ცალკე. ამერიკამ ზუსტად ის სახელი დაარქვა ამ დახმარებას, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ. ეს კი არის სერიოზული შეტყობინება რუსი ხალხისათვის. საბჭოთა კავშირი ამით ამაყობდა, რომ ამერიკასთან მოკავშირეობით და ერთობით მოხდა ფაშიზმის დამარცხება.

– ახლა ეს არის ამერიკის მხრიდან რუსულ ფაშიზმზე ღიად გალაშქრება?

– რა თქმა უნდა, ზუსტად ასეა! ეს არის სიმბოლური აღიარება, რომ დღეს რუსეთი არის ზუსტად ისეთივე ფაშისტური, როგორც გერმანია იყო თავის დროზე. ამით ურტყამენ რუსეთის წმინდათა წმინდა ფენომენს, რომ მათ გაიმარჯვეს ფაშიზმზე. დღეს კი თავად არიან ფაშისტები. ის რაც დღეს ხდება, ეს არის სერიოზული დახმარება. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, უფლება აქვს, როცა უნდა, ყოველგვარი ფორმალურობის გარეშე, სერიოზული იარაღი მიაწოდოს უკრაინას. ეს ერთი ორად აძლიერებს უკრაინას თანამედროვე იარაღით, ასევე აძლიერებს მორალურადაც. უკრაინას ექნება თანამედროვე იარაღი, ხოლო რუსულ მხარესაა საბჭოთა კავშირის მწყობრიდან გამოსული იარაღი. ეს ყველაფერი კი უფრო მეტად მოახდენს რუსული ჯარის დემორალიზაციას. ეს გააძლიერებს უკრაინას და ერთი ორად შეასუსტებს რუსულ არმიას. ეს იქნება გადამწყვეტი ფაქტორი უკრაინის მიერ რუსული არმიის დამარცხებაში.

– ძალიან ულიმღამო სახე ჰქონდა პუტინს 9 მაისსო. ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილება მას მეტად ჩააგდებს დეპრესიაში თუ უფრო მეტად განარისხებს?

– დეპრესია და განრისხება ხშირად ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე. პუტინი გამოფხიზლდა, აღარ დაფრინავს და აღარ ჰგონია, რომ უკრაინის დამარცხება ასე ადვილია. ხედავს, რომ მისი ჯარი უძლურია. პუტინი მიხვდა, რომ უკრაინის დამარცხება არა თუ ძნელია, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელია. 9 მაისსაც ვერაფერი მოუპოვა მისმა არმიამ ისეთი, რომ ამით ეამაყა. 9 მაისს უნდა გაფორმებულიყო ის, რაც მოხდებოდა 8 მაისს, 7 მაისს, ან 5 მაისს. ვინაიდან ამ დღეებში განსაკუთრებული წარმატება არ ჰქონია რუსულ ჯარს, 9 მაისიც იყო ჩვეულებრივი. ვერაფერი ვერ გააკეთეს. ვერც მარიუპოლი აიღეს და ვერც დონეცკის და ლუგანსკის მიმართულებით გაფართოვდნენ. 9 მაისი უნდა ყოფილიყო გაფორმება გამარჯვებისა. თუმცა გამარჯვება არ შემდგარა და ვერც ვერაფერი გაიფორმეს. ამიტომაც მიაფუჩეჩეს ასე 9 მაისი. 9 მაისმა აჩვენა, რომ პუტინს არაფერი საზეიმო არ ჰქონდა. ეს იყო მშვენიერი შედეგი.

– ოდესის დაბომბვა, ეს ხომ არ იყო პასუხი ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე?

– ოდესა იბომბებოდა ისედაც. რა თქმა უნდა, ყველაფერში შეგვიძლია რაღაც დავინახოთ, მაგრამ ოდესასაც მუდმივად ბომბავენ, რათა იქ შექმნან დემორალიზაცია და შექმნან განცდა, რომ მალე ოდესასაც შეუტევენ. ძალიან ძნელია პუტინის ყველა ქმედებაში ეძებო ლოგიკა და პასუხი. მთავარი პასუხი არის ის, რომ რუსეთი ჩაფლავდა.

– როგორ ფიქრობთ, რუსეთი განწირულია მარცხისთვის ამ ბრძოლაში?

– ამას ვხედავ აშკარად, რომ ასეა. მე ამას უკვე 28 თებერვალსაც ვხედავდი და ვსაუბრობდი კიდეც ამაზე, რომ ყელამდე ჩაეფლნენ. რა თქმა უნდა, განწირულია და რუსეთი იმაზე დიდ მარცხს მიიღებს, ვიდრე წარმოუდგენია. რუსეთის მარცხი გაგრძელდება და გაგრძელდება.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ შიდა პოლიტიკურ პროცესებს? სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხი კვლავ აქტუალურია. ხელისუფლება არც მის საზღვარგარეთ გადაყვანას გეგმავს და არც თავდებით გათავისუფლებას. რამდენად რისკავს ხელისუფლება პრეზიდენტის ჯანმრთელობით? რამდენად მწვავეა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– აშკარად ჩანს, რომ მწვავეა. დღეს ხელისუფლება ცეცხლს ეთამაშება. სერიოზულად რისკავს. ამ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოების მხრიდან ინტერესი არის ძალიან მაღალი. ხელისუფლება კი, გარდა ფორმალური განცხადებებისა, ვერაფრით ვერ პასუხობს. ეს კი ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობს და აძლიერებს ნაცმოძრაობის აქტივობებს. თუმცა ისიც აშკარად ჩანს, რომ ნაცმოძრაობის აქტივობები ვერ გადაიზრდება საყოველთაოში.

– რატომ ვერ ახერხებს ნაცმოძრაობა საპროტესტო ტალღის აგორებას?

– ნაცმოძრაობას ყველა გეგმა ჩაეფუშა, მაგრამ პატარ-პატარა წარმატებებს აღწევენ, მუდმივად დღის წესრიგში აყენებენ სააკაშვილის თემას.

– საუბარია, რომ ხელისუფლებასაც ზუსტად ეს უნდა, რადგან სააკაშვილის თემით ყველა სხვა პროცესი გადაფარულია. ეს ხომ არ არის მათი შეთანხმების ნაწილი?

– მეც ზუსტად ასე ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლებასაც აწყობს. თუმცა, არ მგონია ეს შეთანხმების ნაწილი იყოს. იმდენად მარტივია მათი ქცევები, რომ ამით ერთმანეთს აძლიერებენ. სულაც არაა საჭირო შეთანხმება, ისინი ისედაც ერთ ორბიტაზე ტრიალებენ. „ქართულ ოცნებას“ აწყობს სააკაშვილზე ლაპარაკი და სხვაზე არაფერზე. არც სიღარიბეზე, არც ეკონომიკურ პრობლემებზე. სააკაშვილია დღის წესრიგში. ხომ ხედავთ ჩვენც ამაზე ვლაპარაკობთ, როცა უამრავი პრობლემაა გარშემო. შესაბამისად ეს აწყობს „ქართულ ოცნებას“. ორივე ძალას აწყობს, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობით დაიგროვოს ქულები არჩევნებისათვის. ამიტომ ერთიც და მეორეც ფიქრობს თავის ხმებსა და ამომრჩეველზე და არა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. რაც უფრო დიდხანს იქნება სააკაშვილი ავადმყოფი, მით უფრო დიდხანს იხმაურებს ნაციონალური მოძრაობა. მთავარია, სააკაშვილის მდგომარეობა ძალიან არ გართულდეს.

– ამით ცეცხლს ხომ არ ეთამაშება „ოცნება“?

– კი, ასეა. თუ ძალიან გართულდა სააკაშვილის მდგომარეობა, „ოცნება“ სერიოზულ დარტყმას მიიღებს დასავლეთისგან და შესაძლოა, საზოგადოებისგანაც მოხდეს გულყრა „ქართულ ოცნებაზე“. მე მგონია, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს, კონტროლის ქვეშ ჰყავდეს სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. არც გამოჯანმრთელდეს, მაგრამ ამაზე მეტადაც არ გაუარესდეს მისი მდგომარეობა. ნაცმოძრაობას დაუტოვოს უფლება, ილაპარაკოს მის ავადმყოფობაზე, ხოლო „ოცნებამ“ ილაპარაკოს, რომ ეს ავადმყოფობა არ არის სერიოზული. სწორედ ამით ძლიერდება ორივე პარტია. ჩვენ კი ამ ყველაფერს ვუყურებთ გაღიმებულები, როგორც სპექტაკლს. ეს ღარიბ-ღატაკი ხალხი ვსხედვართ ამ უფასო სპექტაკლზე და ვუყურებთ სანახაობას. ორი მსახიობის თეატრია და სცენაზეა საწოლში მწოლიარე სააკაშვილი.

– პროცესების როგორ განვითარებას ელით, რა მოლოდინები გაქვთ?

– ყველა პროცესი დაკავშირებულია იმაზე, თუ როგორ დასრულდება უკრაინის მოვლენები. აშკარად ჩანს, რომ ყველა ელოდება, როგორ დასრულდება უკრაინის ფრონტზე მოვლენები. აი შეთანხმების დოკუმენტს რომ მოეწერება ხელი, მერე შეგვიძლია გავიაროთ ეს დეტალები და ვნახოთ, ვინ რა მოიგო.

„ჩვენი ქვეყანა მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს“

დავით უსუფაშვილის განცხადება

– ყველაფერი პერსონალურად არ უნდა მიიღოს არც ივანიშვილმა და არც ღარიბაშვილმა – არ გამოვრიცხავ, ხვალ ისევ გაჩნდეს ინფორმაცია, რომ რაღაც არასწორი ხდება საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით. მნიშვნელოვანია, ეს არ იყოს სახელისუფლებო წახალისებით და ხელისუფლებამ დროულად აღკვეთოს, თუ რაიმე ასეთს აქვს ადგილი.

ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა ბრიტანეთის ელჩის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

მისივე თქმით, მოხარული იქნება, თუ საქართველოს მიმართ „რაიმე ჩრდილი და კითხვა აღარ იქნება“.

– ჩვენი ქვეყანა მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს. როცა კითხვები ჩნდება, ყველაფერი პერსონალურად არ უნდა მიიღოს არც ივანიშვილმა და არც ღარიბაშვილმა. კრიმინალური სამყარო მოქმედებს, ომის პერიოდში კრიმინალური დაჯგუფებები აქტიურდებიან, მათ შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიის გავლითაც დაგეგმონ რაღაც და თითოეული ასეთი ინფორმაცია ჩვენმა მთავრობამ შეურაცხყოფად კი არ უნდა მიიღოს, არამედ გამოიკვლიოს ფაქტი, შესაბამის ქვეყნებს და მათ უწყებებს მიმართოს თანამშრომლობისთვის და ეს არ უნდა გახდეს სკანდალი.

მე არ გამოვრიცხავ, ხვალ ისევ გაჩნდეს ინფორმაცია, რომ რაღაც არასწორი ხდება საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით, მაგრამ მნიშვნელოვანია, ეს არ იყოს სახელისუფლებო წახალისებით და ხელისუფლებამ დროულად აღკვეთოს, თუ რაიმე ასეთი ხდება. ეს უნდა იყოს მშვიდ, მუშა ვითარებაში, სკანდალების გარეშე და პერსონალურ შეურაცხყოფად მიღების გარეშე, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ცნობისათვის, ბრიტანეთის ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი „ინტერპრესნიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ უკრაინის დაზვერვის მსგავსი ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთს სანქციებისგან თავის არიდებაში ეხმარება, მათ არ აქვთ.

სოზარ სუბარი: „სააკაშვილის ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს“

– განსაკუთრებით გააქტიურდა სპეკულაციები და ლაპარაკი პატიმარ სააკაშვილის მდგომარეობის შესახებ და, შესაბამისად, გააქტიურდა კატეგორიული მოთხოვნა, რომ მოხდეს მისი სამკურნალოდ უცხოეთში გაყვანა. პირდაპირ ვიტყვი, რომ სააკაშვილის უფლება ჯანმრთელობაზე სათანადოდ უნდა იქნას დაცული, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პატიმრის უფლება.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოზარ სუბარმა პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, სააკაშვილის ჯანმრთელობას შეიძლება მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და არა სპეკულაციებს.

– შეიძლება ბევრი პატიმარი და მათი ოჯახი გავაღიზიანო კიდეც და განსაკუთრებით, ის პატიმრები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში იხდიდნენ სასჯელს, მაგრამ როცა საქმე ყოფილ პრეზიდენტს ეხება, მაინც ვიტყვი, რომ მის ჯანმრთელობას შეიძლება მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ოღონდ ჯანმრთელობას და არა – სპეკულაციებს.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ იუსტიციის სამინისტრო და პენიტენციური სამსახური ყველაფერს აკეთებენ, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული, როგორც სააკაშვილის, ისე ნებისმიერი სხვა პატიმრის ჯანმრთელობის უფლება, მაგრამ ვერანაირი ჯანდაცვის სისტემა ვერ დაიცავს ადამიანის ჯანმრთელობას სავარაუდო აგრავაციის პირობებში. განვლილი 6 თვის განმავლობაში ძალიან ბევრი სპეკულაცია მოვისმინეთ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე.

ადამიანები, რომლებსაც აქვთ პრეტენზია, თითქოს, არიან კვალიფიციური ექიმები თუ ექსპერტები, სრული სერიოზულობით ამტკიცებდნენ, თითქოს, ხდებოდა პატიმრის დასხივება მომაკვდინებელი სხივებით, თითქოს, ადგილი ჰქონდა ციკლურ წამებას, ფარმაკოლოგიურ წამებას, ინვალიდიზაციას და ა.შ.

ყველა ამ ბრალდების აბსურდულობა ძალიან მალე ვლინდება ხოლმე, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამაც დაადასტურა, თუმცა სიმულაციებთან და აგრავაციის მცდელობებთან გადაჯაჭვული ბრალდებები პერიოდულად ახალი ძალით იფეთქებს ხოლმე. საზოგადოება კარგად არჩევს ტყუილსა და მართალს, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

დიმიტრი ხუნდაძე: „იქნებ მამა მელიამ ჩემზე ირიბი მტკიცებულებები მაინც წარმოადგინოს“

– ტყუილები „ნაცმოძრაობის“ და მათი გულშემატკივრების საყვარელი საქმეა – იქნებ მამა მელიამ ჩემ მიმართ გაკეთებულ მორიგ ბრალდებებზე, თითქოს ავლაბრის ტერიტორიაზე, მინის სარდაფში კლინიკას ვფლობ, თუნდაც ირიბი მტკიცებულებები წარმოადგინოს – იქნებ მისამართი, კლინიკის სახელწოდება ან კლინიკის ხელმძღვანელის გვარი ან სახელი გააჟღეროს, რომ მეც მივაკვლიო.

აღნიშნული განცხადება გუშინ, 10 მაისს, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ გააკეთა.

მისი თქმით, აღნიშნულ „ბოდვაზე“ ელის პასუხს მხოლოდ იმ პირობით, რომ „მოწმედ საკუთარ კუდს არ მოიყვანენ“.

ხუნდაძის შეფასებით, ტყუილ-მართალი საზოგადოებას რეალობას აშორებს და სახელმწიფოს ვნებს.

– 2012 წელს მიშამ ხელკეტებისა და ტერორის ფონზე, ხელისუფლება „მშვიდობიანად“ გადააბარა და ქვეყანას და საზოგადოებას სიმშვიდეს სწორედ იმ დღიდან არ აძლევს. „ხელისუფლება კლავსო“ და ციხეში საშინელი წამებისა და სტრესის ქვეშ არისო – შვიდი თვის განმავლობაში საკანში 800-მდე ვიზიტორი და ამდენი ექიმის მეთვალყურეობა თუ წამებაა, მაშინ ეს ადრე სხვანაირად იყო.

აღარაფერს ვამბობ ასეთ „წამებაზე“ სტრასბურის პასუხზე, რომელიც განხილვაშიც კი არ მიიღო.

დღეს ციხეს იგივე მისამართი აქვს, მაგრამ განსხვავებული გარემო.

მაგალითად, ყოველ 5 დღეში 3 გვამი აღარ გამოდის იქიდან, პატიმრებს ფეხზე დგომით რიგრიგობით არ სძინავთ და მოსაქმება შუა ოთახში, ყველას წინაშე შეურაცხმყოფელად არ უწევთ. დღეს იქ ცე ჰეპატიტზეც კი მკურნალობენ.

მკურნალობის არ იყოს, 2012 წლამდე ჯანდაცვა პრივილეგია იყო, მას შემდეგ კი პრიორიტეტად იქცა, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

„საქართველოში პოლიტიკური მონოპოლიაა. დროა, პოლიტიკური სპექტაკლებიდან გამოვიდეთ“

მამუკა გიორგაძე: „პოლიტიკურ ველზე მუდმივად ხდება ხელოვნური დაპირისპირებები. საქართველო ვერ ვითარდება. ევროპელებმა შესანიშნავად იციან საქართველოში არსებული მდგომარეობა“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.

– ევროკავშირის კითხვარი, რომელიც გადაწყვეტს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსს, შევსებულია. ალბათ, საქართველოს ბედი მარტო კითხვარის შევსებაზე არ არის დამოკიდებული?

– რასაკვირველია. ჩვენში ბევრი ევროკავშირში გაწევრიანებას (მანამდე წევრობის კანდიდატის მიღებას) უყურებს, როგორც რომელიღაც კლუბში შესვლას. ჯერ ერთი, ეს კლუბი არ არის, მეორეც, რომელიმე ორგანიზაციის წევრობა არ უნდა იყოს თვითმიზანი. ჩვენთვის უმთავრესი უნდა იყოს ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და განვითარება. განვითარებული საქართველო ბუნებრივად აღმოჩნდება თავისი ნამდვილი მოკავშირეების გვერდით. ევროკავშირში შესვლასაც ჩვენთან ბევრი საბჭოური მენტალიტეტიდან გამომდინარე უყურებს.

– საბჭოური მენტალიტეტი სად ჩანს? ფორმალობაში?

– საბჭოთა დროს იყო მანკიერი მიდგომა განათლების მიმართ. ძალიან ბევრისთვის მთავარი იყო ქაღალდი, დიპლომი და არა ცოდნა. დანერგილი იყო საგნების ჩაწყობა. აქაც იგივეა. იმას კი არ დარდობენ, ვართ თუ არა დემოკრატიული სახელმწიფო, გვაქვს თუ არა ქმედითი სახელმწიფო ინსტიტუტები, თვითმმართველობა, სამართლიანი სასამართლო, არამედ, მთავარია, შევავსოთ კითხვარი და გავწევრიანდეთ.

– თვითმმართველობისა და სასამართლოს მხრივ პრობლემებია?

– არა მარტო ამ მხრივ გვაქვს პრობლემები. არ არსებობს კონსენსუსი საზოგადოებაში. პოლიტიკური ველი პოლარიზებულია. პოლიტიკურ ველზე მუდმივად ხდება ხელოვნური დაპირისპირებები. საქართველო ვერ ვითარდება. სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ მუშაობს. აქ თვალის ახვევა არ გამოვა. ევროპელებმა შესანიშნავად იციან საქართველოში არსებული მდგომარეობა.

– კერძოდ?

– რაც ჩამოვთვალე, თითქმის ყველაფერი იციან. ევროპაში კარგად უწყიან, რომ საქართველოს პარლამენტი არ წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტს. რეალურად, პარლამენტი დაკომპლექტებულია ერთი გავლენიანი კაცის სურვილებით. ეს პირველად არ ხდება. ამ დღეში ვართ 30 წელიწადია. აღმოსავლეთ ევროპამ ეს გზა უკვე გაიარა, ეს სახელმწიფოები ევროკავშირში გაწევრიანდნენ, მაგრამ ზოგან ძველი პრობლემები ბოლომდე ჯერაც არ მოუგვარებიათ.

– რუსეთზე დამოკიდებულებას ხომ არ გულისხმობთ?

– ცხადია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მიიღეს ლუსტრაციის კანონი, გათავისუფლდნენ რუსეთის აგენტურისაგან, მაგრამ ისევ აგრძელებენ რუსეთის აგენტების გამოვლენას.

– ჩვენთან ბევრად მძიმე ვითარებაა ამ კუთხით?

– ჩვენ ვცხოვრობთ იმ სცენარით, რომელიც დაგვიწერეს რუსეთის სპეცსამსახურებმა. ევროპის სახელმწიფოებში სახელმწიფო ინსტიტუტები მუშაობს და ბევრ რამეს ისინი აკეთებენ. ჩვენთან ერთი კაცი წყვეტს ყველაფერს და ყველანაირი განვითარება ფერხდება.

– რუსეთის პრეზიდენტმა 9 მაისის დღესასწაული მოულოცა საქართველოს მოსახლეობას და არა ხელისუფლებას. არადა, საქართველოს მოსახლეობის 90-ზე მეტი პროცენტი რუსეთის მოწინააღმდეგე და გამკრიტიკებელია.

– პუტინის მოლოცვა იყო პიარაქცია. ეს იყო პიარი შიდა მოხმარებისათვის, ასევე იმათ გასაგონად, ვინც რუსეთის ფარგლებს გარეთ რუსულ ილუზიებში იმყოფება. 77 წელი გავიდა იმ გამარჯვებიდან. იმ დროიდან მოყოლებული რუსეთმა ვერაფერი ახალი ვერ შესთავაზა ვერც საკუთარ მოსახლეობას და ვერც ცივილიზებულ სამყაროს. კრემლი მარტო იმას მოითხოვს, რომ 77 წლის წინანდელი ომის შედეგი არ გადაიხედოს. ცივილიზებული სამყარო მის მოთხოვნას არ ასრულებს. პუტინი მსოფლიოს სთავაზობს უხეშ ძალას და სამხედრო აგრესიას. აქაც უსუსურად გამოიყურება.

– რუსეთის ხელისუფლება ტრაბახობდა, რომ მეორე ფაზის დროს მიაღწევდა მიზანს. უკრაინაში ომის მეორე ფაზა გრძელდება, რუსეთმა კი ლუგანსკისა და დონეცკის (რომელთა „დამოუკიდებლობა“ აღიარა) აღება ვერ შეძლო.

– სწორედ ესაა საქმე. ადრე გვეგონა, რომ რუსეთი ეკონომიკურად იყო ჩამორჩენილი, მის ელიტას დაბალი პოლიტიკური ინტელექტი ჰქონდა, სამხედრო სფეროში კი ძლიერი იყო. უკრაინასთან ერთი ერთზეა დარჩენილი და მასაც ვერ ჯაბნის. ნატო ომში არ ერევა, უკრაინაში დახმარების სახით აქამდე შესული შეიარაღება ძალიან შთამბეჭდავი არ არის. უკრაინა რუსეთს ბევრად ჯობნის. იკვეთება მართვის სისტემების განსხვავება. რუსული მართვის სისტემა არაფრად არ ვარგა. რუსეთმა სამხედრო-პოლიტიკური წარმატება ვერ მოიპოვა. რა თქმა უნდა, ჩვენ განვიცდით უკრაინაში ადამიანების დაღუპვას.

უკრაინაში გამოჩნდა, რომ რუსეთი, რომელსაც მდიდარი რესურსები და უზარმაზარი ტერიტორია აქვს, განუვითარებელი ქვეყანაა. მას არაფერი არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ ილაპარაკოს მეორე მსოფლიო ომზე. ჩვენ პატივს ვცემთ იმათ, ვინც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, პატივი და ღირსება ჩვენს დაღუპულ მებრძოლებს, ვეტერანებს, მაგრამ საჭიროა პოლიტიკური შეფასება.

– მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური შეფასება?

– ქართველები იბრძოდნენ საბჭოთა ჯარში. ასე, გიორგი მეთერთმეტე ავღანეთში დაიღუპა. ირანის მხარეს იბრძოდა. ერეკლე მეორე იბრძოდა ნადირ შაჰთან ერთად. ორივე მეფეს ჩვენი პატივისცემა, მაგრამ ის ომები ჩვენს ომებად ვაღიაროთ?! არც 80 წლის წინანდელი ომი იყო ჩვენი, საქართველოს ომი.

– სხვა ჩვენნაირ ქვეყნებს დაახლოებით ეს მიდგომა აქვთ. მოლდოვაში ვეტერანებს პატივს მიაგებენ, 9 მაისს კი გამარჯვების დღედ არ თვლიან.

– რუსეთს მეორე მსოფლიო ომის თემატიკა და რუსული სიმბოლიკა იდეოლოგიისთვის არ უნდა გამოვაყენებინოთ. გიორგის ლენტები ამ ომს საერთოდ არ უკავშირდება. „გიორგიევსკის“ ლენტების კავალერისტები, რუსეთის სამხედრო ელიტა, ბოლშევიკებმა დახვრიტეს. რუსეთი ამასაც იყენებს. საქართველოში რომ აღმოაჩინონ მონღოლური მონეტა, მას მუზეუმში გადაიტანენ და დაიცავენ. სხვაა, თუ მონღოლები ამ მონეტას საქართველოში გავლენის გასაძლიერებლად გამოიყენებენ. რუსეთი ამ ყველაფერს გავლენებისთვის იყენებს. იმ პარლამენტში, სადაც სააკაშვილი მოქალაქეთა კავშირის ლიდერი იყო, ჩვენ, სახალხო პარტია, ვაყენებდით ინიციატივას იმაზე, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღე 8 მაისს დაწესდეს. საქართველოს ის ხელისუფლება რუსეთის მსახური იყო. დანარჩენებიც ასეთები არიან და იყვნენ. ამ საკითხშიც ვშორდებით ევროპას.

– კიდევ რა გვაშორებს ევროპას? თვითმმართველობა და სასამართლო წელან ახსენეთ.

– პოლიტიკური მონოპოლიზმი. საქართველოში არსებობს პოლიტიკური მონოპოლია, სადაც სხვას არ უშვებენ. ეს აბრკოლებს ქვეყნის ჯანსაღ განვითარებას. დროა, საზოგადოებამ გაიღვიძოს. დროა, პოლიტიკური სპექტაკლებიდან გამოვიდეთ და ქვეყნის განვითარებას მივხედოთ. ვიმყოფებით სამყაროს ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბების საფეხურზე. რუსეთი თმობს პოზიციებს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან მოთხოვნები შეცვალა. საქართველომ ამ კონფიგურაციაში თავისი ადგილი უნდა მოძებნოს. 30 წლის წინ მსოფლიო მატარებელს ჩამოვრჩით. ახლა მაინც უნდა ვიპოვოთ ჩვენი ადგილი. ამისათვის აუცილებელია ხელოვნური პოლარიზაციისა და პოლიტიკური სპექტაკლების დასრულება.

გიორგი ცაგარეიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა“ თავის ბელადიანად ხართ ცხვრის ქურქში გახვეული მგლები“

– „ნაციონალური მოძრაობა“ თავის ბელადიანად ხართ ცხვრის ქურქში გახვეული მგლები.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში დაბრუნება, რაც დარჩა, იმის გასანადგურებლად სურს.

– საქართველოს მოქალაქეების რეკეტისას არაფერს არ თაკილობდით, ართმევდით მათ ქარხნებს, სასტუმროებს, საცურაო კომპლექსებს, კომერციულ ფართებს, აგარაკებს, პანსიონატებს, სტადიონებს, საცხოვრებელ ბინებს, მიწის ნაკვეთებს, ავტომანქანებს, კვადროციკლებს, ოქროს ნაკეთობებს, თვითმფრინავებს, შვეულმფრენებს, ცეცხლსასროლ იარაღს, ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიებს, ანტიკვარულ წიგნებს, სახვითი ხელოვნების ნიმუშებს და სხვა მოძრავ თუ უძრავ ქონებებს, რომლებიც ამჟამად დაბრუნებული თუ დაბრუნების პროცესშია. თქვენ მიერ ჩამორთმეული და დაბრუნებული ქონების საერთო ღირებულება ათობით მილიონს აჭარბებს.

„ნაციონალური მოძრაობა“ თავისი ბელადიანად ხართ ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რაზეც მე აქ ვისაუბრე, მხოლოდ ნაწილია იმ საშინელებების, რაც თქვენ დამართეთ ქართველ ხალხს და, პირველ რიგში, დამართეთ საკუთარ თავებს. დიდი ხანია, დაკარგეთ ადამიანობის იოტისოდენა განცდაც, იქეცით გამოუსწორებელ მოძალადეებად, ახლა კი ღამობთ, როგორმე ხელისუფლებაში დაბრუნდეთ თქვენს ბელადთან ერთად და ვინც და რაც დაგრჩათ გასანადგურებელი, ისიც მოსპოთ და გაანადგუროთ, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

დიმიტრი სანაკოევი: „გაგლოევი პუტინის მორიგი სატყუარაა სამხრეთ ოსეთში“

შეიცვლება თუ არა სამხრეთ ოსეთში სიტუაცია ალან გაგლოევის გაპრეზიდენტებით – სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაური, დიმიტრი სანაკოევი, მიიჩნევს, რომ რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება.

დიმიტრი სანაკოევი აცხადებს, რომ ალან გაგლოევი არის მორიგი სატყუარა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისთვის და ის საქართველოს მიმართ კრიტიკული განცხადებებით გამოირჩევა.

გაგლოევი რუსეთის ნეგატიურ პოლიტიკას იზიარებს, მან განაცხადა მზაობა რეფერენდუმის ჩასატარებლად, ოსეთი შეუერთდეს თუ არა რუსეთს.

– კრემლის ერთი მარიონეტი ჩაანაცვლა მეორემ, – განაცხადა დიმიტრი სანაკოევმა.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ანატოლი ბიბილოვი დამარცხდა.

გამარჯვება უშიშროების კადრმა, ალან გაგლოევმა, მოიპოვა.

მისო-ების პორტფელის ნახევარი ლომბარდულ სესხებზე მოდის

მისო-ების პორტფელის ნახევარი ლომბარდულ სესხებზე მოდის. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კონსოლიდირებული მონაცემების თანახმად, 2022 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, მისო-ებმა 737.751 ერთეული (1.394.722.158 ლარის) სესხი გასცეს. აქედან 1.363 მლრდ ლარი ფიზიკურ, ხოლო 30.898 მლნ ლარი იურიდიულ პირებზე გაიცა.

რაც შეეხება დარგებს, სადაც 2022 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით ყველაზე მეტი სესხი გაიცა, ისინი ასე გამოიყურება:

- ლომბარდი – 541.293 სესხი – 690.445.205 ლარი
- განვადება – 72.443 სესხი – 46.097.111 ლარი
- სამომხმარებლო სესხი – 54.051 სესხი – 269.733.827 ლარი
- ვაჭრობა და მომსახურება – 41.363 სესხი – 223.844.229 ლარი
- სოფლის მეურნეობა – 26.592 სესხი – 124.523.848 ლარი

„ლენდ-ლიზი“ უკრაინისთვის სერიოზული მხარდაჭერაა“

პოლიტოლოგ ვანო მაჭავარიანის შეფასებით, „ლენდ-ლიზის“ კანონზე ხელის მოწერა უკრაინისთვის სერიოზულ ფინანსურ-ეკონომიკურ და სამხედრო მხარდაჭერას გულისხმობს.

როგორც მან „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ აღნიშნა, რეალურად, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ხვდება, რომ მისი ყველა ნაბიჯი წარუმატებელი აღმოჩნდა და აშშ-ის პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება რუსეთისთვის უკრაინასთან ომის წაგების სერიოზული საწინდარია.

– ძალიან სიმბოლურია, რომ ზუსტად 9 მაისს, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა „ლენდ-ლიზის“ განკარგულებას ხელი მოაწერა, რომელიც პირდაპირ არის მიბმული მეორე მსოფლიო ომის ისტორიასთან.

ეს გადაწყვეტილება არც მაშინ იყო მართივი. ბრიტანელებმა და ამერიკელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა კავშირისთვის უპრეცედენტო ფინანსური, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება გაეწიათ. 11 მილიარდამდე ავიდა ეს დახმარება, რომელიც დღევანდელი მილიარდებით თუ გავთვლით, ალბათ, 10-ჯერ მეტია. ამან ფაქტობრივად ომის ისტორია, ბედი და მიმართულება შეცვალა.

ეს გულისხმობს იმას, რომ აშშ-ს შეუძლია გადასცეს უკრაინას ყველა სამხედრო ტექნიკა შეუზღუდავად, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, რაც ომში რუსეთის დამარცხებას ხელს შეუწყობს.

რეალურად, სამხედრო ტექნიკა, ფინანსურ-ეკონომიკური, ლოჯისტიკური დახმარება აშშ-ს ამ ომში აქტიურ მონაწილეს ხდის როგორც მომარაგების, ისე საშტატო თუ სხვა მიმართულებით. 9 მაისს პუტინის უღიმღამო სახე, სერიოზული დეპრესია ჩანდა. როგორც ჩანდა, საზეიმო იქ არაფერი იყო, რაც მან ძალიან კარგად იცოდა. მან რეალურად იცის, რომ ეს არის მისთვის ომის წაგების სერიოზული საწინდარი და ამ მიმართულებით მიზნებს ცვლის, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მისი შეფასებით, მთელი დასავლეთი და ცივილიზებული სამყარო ამბობს, რომ რუსეთი თავისი პოლიტიკით ფაშიზმის მხარესაა, ხოლო უკრაინა ისტორიის სწორ მხარეს დგას.

როგორც ვანო მაჭავარიანი აღნიშნავს, 9 მაისს ვლადიმერ პუტინმა ვერ შეძლო განეცხადებინა, რომ „მისია შესრულებულია“.

– პუტინმა ძალიან კარგად იცის, რომ უკრაინასთან ომი დიდი ალბათობით წაგებული აქვს. რეალურად, პუტინი ცდილობს, სამხედრო ოპერაცია, რასაც ის უკრაინასთან ომს ეძახის, რაც არ უნდა შედეგით დასრულდეს, პროპაგანდისტული მანქანით წარმატებულად გამოაცხადოს. ხალხი, რომელიც ტვინგამორეცხილია რუსეთის პროპაგანდით, ზუსტად იმ სიმართლით ცხოვრობს, რომელსაც პუტინი და პუტინის ტელევიზია აწვდის, – განაცხადა მაჭავარიანმა.

ცნობისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინისთვის „ლენდ-ლიზის“ შესახებ კანონს ხელი მოაწერა, რითაც კანონი ოფიციალურად ძალაში შევიდა.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტი, რუსეთის აგრესიის ფონზე, პრეზიდენტ ბაიდენს საშუალებას მისცემს, ეფექტურად და სწრაფად გაუგზავნოს იარაღი და სხვა სახის აღჭურვილობა უკრაინას.

ბექა შენგელიამ პროკურორებს ფეხსაცმელი ესროლა

ვარკეთილში, სპეცოპერაციისას დაკავებულ მეგობრებს – ბექა და გიორგი შენგელიებს, რომელთაც პოლიციელზე თავდასხმას, მისი ჯანმრთელობის ხელყოფასა და მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავებიან, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ალექსანდრე გზირიშვილმა გამოაცხადა.

9 მაისის სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე დაკავებულების მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, დაცვის მხარე დაკავებულების აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას შუამდგომლობდა.

ბექა შენგელიამ სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, პროკურორების მისამართით ფეხსაცმელი ისროლა.

როგორც პროკურორი დავით ყაზარაშვილი აცხადებს, სასამართლოს უპატივცემლობის ფაქტზე რეაგირება უკვე დაწყებულია.

– დღეის მდგომარეობით, ამ ადამიანების დანაშაულებრივი ქმედებები სრულდებოდა და გრძელდებოდა სასამართლო პროცესზე, სადაც მათ განახორციელეს სასამართლოს უპატივცემლობა. ყველა ამ გარემოებაზე და ფაქტზე შესაბამისი რეაგირება იქნება და ეს რეაგირება უკვე დაწყებულია. შესაძლებელია, ბრალი დამძიმდეს, – განაცხადა ყაზარაშვილმა.

მისივე თქმით, ბრალდებულები სამართალდამცავებს მომხდარის შემდეგ, 2 კვირის განმავლობაში ემალებოდნენ.

პროკურორის განმარტებითვე, შენგელიები დაკავების მომენტშიც სამართალდამცავებს ემუქრებოდნენ, კერძოდ კი, ხელყუმბარის აფეთქებით. ყაზარაშვილის თქმით, დაშავებული პოლიციელი მკურნალობას ამ დრომდე გადის.

– ის პირები, რომლებიც სასამართლოში არიან წარმოდგენილი, კიდევ ერთ სხვა პირთან ერთად, რომელიც უკვე დაკავებულია და აღკვეთის ღონისძიება შეფარდებული აქვს, ზუგდიდში მონაწილეობდნენ გარკვეულ მოქმედებებში. კერძოდ, იქ დაჭრეს პიროვნება, რის შემდეგაც, მოემართებოდნენ თბილისის მიმართულებით.

მცხეთის ტერიტორიაზე, ამ ადამიანებს საპატრულო პოლიცია მისდევდა, ვინაიდან მანქანა გადაცემული იყო შეჩერებაზე, ისინი არ დაემორჩილნენ საპატრულო პოლიციას, უფრო მეტიც, ავტომობილის მძღოლმა, ბექა შენგელიამ, რომელიც დაკავებულია, განზრახ დაარტყა საპატრულო პოლიციის ერთ-ერთ ავტომანქანას უკანა მხრიდან და შუა ავტობანზე საპატრულო პოლიციის მანქანა ამოატრიალა.

ამის შემდეგ, ავტომობილმა თბილისის მიმართულებით მოძრაობა გააგრძელა, არ გაჩერდა მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციის ერთ-ერთი ეკიპაჟი უკვე ამოტრიალებული ჰყავდა და თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე იმალებოდა.

2 კვირის მანძილზე, ავტომანქანაში მყოფი სამივე პირი, მათ შორის, ბექა შენგელია, სხვადასხვა ლოკაციებზე დაიმალნენ. რაც შეეხება დაკავების მომენტს, ყველამ კარგად ვნახეთ, რომ ეს ადამიანები პოლიციას ემუქრებოდნენ ხელყუმბარით აფეთქებით და ა.შ. თურმე, ამის შემდეგ, ეს ადამიანები მსხვერპლები არიან. ერთადერთი რამ

არ მესმის, რატომ არიან ეს ადამიანები მსხვერპლი და რატომ არ არიან ისინი მაღალი ხარისხის დამნაშავეები.

ზუგდიდში მომხდარ სისხლის სამართლის საქმეს რაც შეეხება, გამოძიება მიმდინარეობს, ჯერჯერობით, ბრალი არც ერთ მათგანს არ აქვს წარდგენილი, თუმცა, არსებობს ინფორმაცია, რომ სწორედ ერთ-ერთი ამ პირთაგანის ჩადენილია ის დანაშაული ზუგდიდში.

როცა პირველი დაკავებული – ხარებავა დაიკითხა, მან პოლიციას მიაწოდა ინფორმაცია, აღიარებდა იმ ფაქტს, რომ მან ესროლა ზუგდიდში ერთ-ერთ პიროვნებას, თუმცა, როცა ადვოკატი საქმეში ჩაერთო, უარი ათქმევინეს ამ ოქმზე ხელის მოწერაზე. თუმცა, გამოკითხვის ოქმი საქმეში დევს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, რომელიც დაზიანდა და დაზარალებულია, დღესაც გადის მკურნალობას ბინაზე, – განაცხადა ყაზარაშვილმა.

კითხვაზე, თუ როგორ ახსნის დაკავებულების ოჯახის წევრების პოზიციას, რომ ავტომანქანას, რომლითაც დაკავებულები გადაადგილდებოდნენ, დაზიანებები არ აქვს, პროკურორი პასუხობს, რომ „ოჯახი არასწორ ინფორმაციას ფლობს“.

– ოჯახის წევრებს შეჯახების შემდეგ ავტომანქანა არ უნახავთ. დათვალიერებისას ჩანს, რომ მანქანა ნამდვილად დაზიანებულია წინა მხარეს. ოჯახის წევრები იმასაც ამბობდნენ, რომ პოლიციამ ბრალდებულები, თურმე, გააქრო. ისინი იმალებოდნენ, რას ჰქვია, პოლიციამ გააქრო? იმ მომენტამდე, ვიდრე მათ დააკავებდნენ, იმალებოდნენ, შესაბამისად, ოჯახის წევრები არასწორ ინფორმაციას ფლობენ, – განაცხადა ყაზარაშვილმა.

ცნობისთვის, ბექა და გიორგი შენგელიებს, საქართველოს პროკურატურამ, მცხეთაში მომხდარ, პოლიციელზე და მის სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმის, პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფის და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე ბრალდება 8 მაისს წარუდგინა.

გამოძიების ინფორმაციით, 14 აპრილს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 39-ე კილომეტრზე, მცხეთის ტერიტორიაზე, დასავლეთიდან თბილისის მიმართულებით მოძრაობის დროს, ბექა შენგელია თავს დაესხა და მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი განზრახ დაეჯახა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის, დავით მიქიაშვილის მართვის ქვეშ მყოფ ავტომობილს, რომელიც შეჯახების შედეგად ამოტრიალდა და დავით მიქიაშვილმა მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება.

საქალაქო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი მე-3 პრეზიდენტის გარეშე გაიმართა

თბილისის საქალაქო სასამართლოში მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბრალდების საქმეზე, რომელიც დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების ჯგუფურად გაფლანგვას ეხება, პროცესი 10 მაისს გაიმართა. სხდომას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე არ ესწრებოდა ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი, თუმცა ესწრებოდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი, თეიმურაზ ჯანაშია, რომელიც აღნიშნულ საქმეზე ასევე ბრალდებულია.

დაცვის მხარემ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, რომლის მიხედვითაც დაცვა სასამართლოსგან ითხოვს დაავალოს პენიტენციურ სამსახურს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში დაშვებულ იქნას ცენტრ „ემპათიას“ სამედიცინო ექსპერტიზა.

როგორც სხდომაზე ადვოკატმა შოთა თუთბერიძემ განაცხადა, მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაცვის მხარემ სამედიცინო ექსპერტიზა ორჯერ დანიშნა გასულ წელს, თუმცა „ემპათიას“ ექსპერტთა ჯგუფს ამ დრომდე არ მიეცა შესაძლებლობა, შევიდეს პენიტენციურ დაწესებულებაში და ჩაატაროს ექსპერტიზა.

ადვოკატმა სხდომაზე ექსპერტიზის დანიშვნის ოქმიც წარმოადგინა. ამავდროულად აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

რაც შეეხება ბრალდების მხარის პოზიციას პენიტენციურ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის დაშვებაზე, როგორც პროკურორმა აღნიშნა, პროკურატურა ამ საკითხის გადაწყვეტას სასამართლოს მიანდობს.

მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა სხდომაზე დაცვის მხარეს მიმართა, რომ მათ მიერ დასახელებული ექსპერტთა ჯგუფიდან ერთ-ერთის შესაბამის პოზიციას სასამართლო მოისმენს და ამის მერე მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილებას, პენიტენციურ დაწესებულებაში ექსპერტიზის დაშვება-არდაშვებაზე.

გარდა ამისა, სააკაშვილის ადვოკატები აპირებენ, მოსამართლეს კიდევ ერთი შუამდგომლობით მიმართონ, რომელიც გასვლითი სხდომის ჩატარებას ეხება.

ცნობისთვის, აღნიშნულ საქმეზე, რომელსაც საზოგადოება ე.წ. პიჯაკების საქმედ იცნობს, მიხეილ სააკაშვილთან ერთად ბრალდებულია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თეიმურაზ ჯანაშიაც.

პროკურატურა ბრალდებულებს საბიუჯეტო თანხის დიდი ოდენობით – 9 მილიონი ლარის ჯგუფურად გაფლანგვას ედავება.

რა უნდა ვიცოდეთ ბინის გაქირავებისას, რომ სასამართლოებში წლების გატარება არ გახდეს საჭირო

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ გახდა ბინების გაქირავების საკითხი აქტუალური, ყოველდღიურ ცხოვრებაში არავინ არის დაზღვეული არაკეთილსინდისიერი და ცუდი ზრახვების მქონე მდგმურებისგან.

როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, თუ დამქირავებელი არც ბინის ქირას იხდის და არც ფართს ცლის?

ადვოკატი ვახტანგ მაჭავარიანი მოქალაქეებს რამდენიმე მნიშვნელოვან პუნქტს უზიარებს იმისთვის, რომ დაზარალებულებმა სამართლის მისაღწევად წლობით არ იარონ შესაბამის სტრუქტურებში.

– უძრავი ქონების გაქირავების შემთხვევაში, მხარეებს შორის დგება ქირავნობის ხელშეკრულება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განისაზღვრება, თუ რა თანხად და რა პერიოდით ხდება მიქირავებული ფართის მიქირავება.

საგადასახადო დაბეგვრის განსახორციელებლად, ფიზიკურ პირებს შორის დადებული ხელშეკრულება შემოსავლების სამსახურში უნდა დარეგისტრირდეს. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე კერძო სამართლის იურიდიული პირია, მაგალითად, შპს, ან სააქციო საზოგადოება და ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით არის დადებული, მაშინ რეგისტრაცია საჯარო რეესტრშიც უნდა გაფორმდეს.

თუ დამქირავებელი 3 თვის განმავლობაში ქირას არ იხდის და არც ბინას ცლის, სამართლებრივად თქვენ მხოლოდ ერთი გზა გაქვთ: მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა, გაქირავებული ფართის უკან დაბრუნება და დამქირავებლისთვის ბინის ქირის გადახდევინება იმ პერიოდისათვის, სანამ თქვენს სახლში ცხოვრობს.

სასამართლო ამ საკითხზე იმსჯელებს და მაღალი ალბათობით, თქვენთვის სასურველ გადაწყვეტილებას გამოიტანს. ამ პროცედურას კი, საშუალოდ, 1 წელი სჭირდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის მოსამართლეს შეუძლია, რომ აღსრულების ბიუროს დაავალოს თქვენი ბინის გამოთავისუფლება, თუმცა, ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ასეთ მოთხოვნას სასამართლო არ აკმაყოფილებს და საქმის განხილვა ჯერ სააპელაციო, შემდეგ უზენაეს სასამართლოში გრძელდება.

ამ პროცედურას კი, საშუალოდ, 2 წელი მიაქვს. არც გამოსახლების პროცედურაა ადვილი და სწრაფი, რადგან ბევრი ბიუროკრატიული წინაღობაა და დღეისათვის, საერთოდ შეჩერებული გამოსახლებები.

დაიმახსოვრეთ: არავითარი მნიშვნელობა აქვს, დამქირავებელი საქართველოს მოქალაქეა თუ არა, ვინაიდან, კანონი ყველასთვის ერთია. ხოლო, უცხოელთან მიმართებით, ზიანის ანაზღაურება უფრო რთულია, ვინაიდან, მას თუ არ გააჩნია საქართველოში არანაირი ქონება, მისგან ზიანის ანაზღაურებაც და თანხის ამოღებაც თითქმის შეუძლებელი ხდება.

მე ერთ რჩევას მოგცემთ: ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას, აუცილებლად მიუთითეთ, რომ სასამართლო დავის შემთხვევაში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მიეცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, რათა წლების გატარება არ მოგიწიოთ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში, – აცხადებს ვახტანგ მაჭავარიანი.

ახალქალაქში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს

9 მაისს, გვიან ღამით, ახალქალაქში, თავისუფლებისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე, 34 წლის კაცი დაჭრეს. ამის შესახებ ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

ადგილობრივები ამბობენ, რომ სამი გასროლის ხმა გაისმა, რის შემდეგაც ერთი ადამიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა კლინიკაში გადაიყვანა. ადგილობრივი მედიის ცნობით, დაჭრილს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

კაცს ექვსი ჭრილობა აქვს მიყენებული, აქედან ოთხი ცეცხლსასროლი იარაღით, ორი კი დანით.

36 წლის მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, მას სასწრაფო ოპერაცია ადგილობრივ კლინიკაში ჩაუტარდა, შემდეგ კი თბილისში გადმოიყვანეს.

როგორც დაჭრილის ახლობლები ამბობენ, ის თანასოფელმა, 60 წლამდე მამაკაცმა დაჭრა.

დაჭრილი რუსეთში ცხოვრობდა, საქართველოში, დაახლოებით, ერთი კვირის წინ ჩამოვიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით დაიწყო.

ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

რუსთავში 26 წლის მამაკაცმა თავი მოიკლა

რუსთავში, მე-17 მიკრორაიონში, ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი ნახეს.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 26 წლის მამაკაცმა სიცოცხლე სუიციდით დაასრულა.

როგორც საინფორმაციო სააგენტომ გაარკვია, შვილის ცხედარი მამამ საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში იპოვა.

ოჯახის ახლობლებსა და გარდაცვლილის მეგობრებს მომხდარის მიზეზებზე საუბარი უჭირთ. მათი თქმით, ბიჭის ცხოვრებაში არსებული რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო კრიმინალური პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

ბათუმთან ავტოსაგზაო შემთხვევისას 4 ადამიანი დაშავდა

ბათუმი-ქობულეთის შემოვლით, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა, ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა კლინიკაში გადაიყვანა.

არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

წინასწარი ინფორმაციით, დაშავებულების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

შსს ცოტნე კობერიძეს ღარიბაშვილისთვის „ბიძინას მონას“ დაძახებისთვის სასამართლოში უჩივის

„გირჩი მეტი თავისუფლების“ ინფორმაციით, შსს პარტიის წევრსა და თბილისის საკრებულოს დეპუტატს, ცოტნე კობერიძეს სასამართლოში უჩივის.

საქმე ეხება 3 აპრილს, ბათუმის ბულვარის ინციდენტს, როდესაც კობერიძემ ღარიბაშვილს „ბიძინას მონა“ უწოდა და დააკავეს, სასამართლომ კი უდანაშაულოდ ცნო. სწორედ ამ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს შსს ახლა სააპელაციოში.

„3 აპრილს ჩვენი პოლიტიკოსი და თბილისის საკრებულოს წევრი ცოტნე კობერიძე დააკავეს, რადგან პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ბათუმის ბულვარში სეირნობისას „ბიძინას მონა“ უწოდა.

სასამართლომ ცოტნე კობერიძე უდანაშაულოდ ცნო და საქმის წარმოება შეწყვიტა.

ახლა შინაგან საქმეთა სამინისტრო მას სააპელაციო სასამართლოში უჩივის.

ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აგინა, წინააღმდეგობა გაუწია, დაამცირა და ამის გამო, რამდენიმე ათასი ლარით დაჯარიმება ემუქრება.

ოთხ დღეში ცოტნეს ისევ მოუწევს საკუთარი თავის დაცვა. ან ისევ უდანაშაულოდ ცნობენ, ან ღარიბაშვილისთვის „ბიძინას მონის“ დაძახების გამო დაყადაღებული ანგარიშებით მოუწევს ცხოვრების გაგრძელება“ – წერს „გირჩი მეტი თავისუფლება“.

ბაიდენმა უკრაინისთვის ლენდ-ლიზის კანონს ხელი მოაწერა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინისთვის ლენდ-ლიზის შესახებ კანონს ხელი მოაწერა, რითიც კანონი ოფიციალურად ძალაში შევიდა.

ხელმოწერის ცერემონია თეთრ სახლში გაიმართა.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტი, რუსეთის აგრესიის ფონზე, პრეზიდენტ ბაიდენს საშუალებას მისცემს, ეფექტურად და სწრაფად გაუგზავნოს იარაღი და სხვა სახის აღჭურვილობა უკრაინას.

შეგახსენებთ, ლენდ-ლიზის აქტს გასულ თვეში, აშშ-ის კონგრესის ორივე პალატამ დაუჭირა მხარი.

ისტორიული მნიშვნელობის ლენდ-ლიზის პროგრამა მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა.

მან შეერთებულ შტატებს საშუალება მისცა, მოკავშირეებისთვის იარაღი სწრაფად მიეწოდებინა.

უკრაინაში დავით ჟვანია დაილუპა

9 მაისს, გვიან ღამით, უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველმა, ანტონ გერაშჩენკომ ტელეგრამში დაწერა, რომ მათი წყაროს ინფორმაციით, უკრაინაში რადას ყოფილი დეპუტატი, დავით ჟვანია დაიღუპა.

არსებული ცნობებით, ის ზაპოროჟიეს რაიონში, სოფელ ნოვოპოკროვკასთან საარტილერიო თავდასხმას ემსხვერპლა.

ცნობილია ისიც, რომ ჟვანიას რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდა და იყო „როსატომის“ არაოფიციალური წარმომადგენელი.

დავით ჟვანია 1967 წლის 20 ივლისს თბილისში დაიბადა. მამა, ვაჟა ჟვანია, პროფესიით ფიზიკოსი და ფილოსოფოსი, უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. დათოს დედა ექიმი-ჰემატოლოგი გახლდათ და წლების განმავლობაში რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობდა.

მან თბილისის 61-ე სკოლა დაამთავრა, შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომისტის პროფესიას დაეუფლა. საბჭოთა ჯარში იმსახურა. 1991 წელს კი საცხოვრებლად უკრაინაში გადავიდა, სადაც ერთ-ერთ ადგილობრივ კომპანიაში – „საავაჭრო სახლი“ მენეჯერად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ამავე კომპანიის ფინანსური დირექტორი გახდა, შემდეგ კი სხვა კომპანიის – „ბრინკფორდ კონს ლიმიტედის“ პრეზიდენტი.

პოლიტიკაში მისი კარიერა 2002 წლიდან იწყება. უკრაინის უმაღლეს რადაში ის ბლოკ „ნაშა უკრაინას“ სიით მოხვდა. დეპუტატის რანგში ჟვანიამ ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის კომიტეტი ჩაიბარა. 2005 წელს კი იულია ტიმოშენკოს მთავრობაში საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

დავით ჟვანიას დარჩა მეუღლე ოქსანა და ოთხი შვილი: ანა, დიანა, სოფია და დავითი.

რუსეთის ყოფილი პრემიერი კასიანოვი: „ეს პუტინის ეპოქის დასასრულის დასაწყისია“

რუსეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მიხეილ კასიანოვმა პუტინის რეჟიმსა და უკრაინასთან გაჩაღებულ ომზე სკაი ნიუსთან ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა მოსალოდნელი მარცხის შესახებ უკვე იცის.

მისი თქმით, „ეს პუტინის ეპოქის დასასრულის დასაწყისია“:

– პუტინი აშკარად გასაჭირშია და ეს „პუტინის ეპოქის დასასრულის დასაწყისია“.

რუსეთის პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს და არ ელოდა უკრაინის მხრიდან წინააღმდეგობის ამ დონეს, – აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.

მისი თქმით, ის ფაქტი, რომ 9 მაისს არ გამოცხადდა გამარჯვება, ნიშნავს, რომ რუსული ძალები ძალას კარგავენ.

ლანდსბერგისი: „პუტინის თანამდებობიდან გადაყენება ერთადერთი გზაა“

ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი, გაბრიელიუს ლანდსბერგისი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის თანამდებობიდან გადაყენება ერთადერთი გზაა მოსკოვიდან მომავალი საფრთხისგან დასავლეთისა და მისი მოკავშირეების დასაცავად.

ლანდსბერგისის თქმით, გამარჯვების დღეს პუტინის ყოველწლიური გამოსვლა და გენერლების „პირქუში სახეები“ აშკარად აჩვენებდა, რომ რუსეთი უკრაინასთან ომში წარუმატებლობას განიცდის.

– ჩვენი გადმოსახედიდან, სანამ დღევანდელი რეჟიმი იქნება ხელისუფლებაში, მის გარშემო მყოფ ქვეყნებს გარკვეულწილად საფრთხე ემუქრებათ. არა მხოლოდ პუტინი, არამედ მთელი რეჟიმი, რადგან, ერთმა მათგანმა შეიძლება შეცვალოს პუტინი, მაგრამ სხვა პუტინი მის ადგილას შეიძლება დადგეს, – განაცხადა ლანდსბერგისმა.

რუსი მილიარდერი შამანთან სეანსის შემდეგ დაილუპა

კომპანია „ლუკოილის“ ყოფილი ტოპ-მენეჯერი, მილიარდერი ალექსანდრ სუბოტინი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

კერძოდ, ბიზნესმენი შამანთან სეანსის შემდეგ დაიღუპა.

ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

ტრაგედია მოსკოვთან ახლოს მიტიშახის რაიონში, ადგილობრივი შამანის აგუას სახლში მოხდა.

შამანი და მისი მეუღლე საკუთარ სახლში სეანსებს მსურველებისთვის წლების განმავლობაში მართავენ. მკურნალობენ სხვადასხვა დაავადებებს ეგზოტიკური ცხოველების დახმარებით. კერძოდ, იყენებენ შხამიან გომბეშოს. აკეთებენ ნაკვეთ ჭრილობას ადამიანის სხეულზე, აწვეთებენ გომბეშოს შხამს, რაც იწვევს გულისრევას. შამანმა რუსი მილიარდერი დაარწმუნა, რომ ღებინების შემდეგ თავს უკეთ იგრძნობდა, თუმცა მოხდა პირიქით – მდგომარეობა უეცრად დამძიმდა და ბიზნესმენი გარდაიცვალა.

ალექსანდრ სუბოტინი წარსულში „ლუკოილის“ სავაჭრო სახლის სააქციო საზოგადოების მმართველად მუშაობდა. შემდეგ კი ტოპ-მენეჯერი „ახალი სატრანსპორტო კომპანიის“ მმართველი გახდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

„დავტოვე კომფორტის ზონა და აღმოვჩნდი იტალიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში“

მარკო მატერაცის გულახდილი ინტერვიუ

იტალიის ნაკრებისა და მილანის ინტერის ყოფილი ფეხბურთელი მარკო მატერაცი ბევრს ზინედინ ზიდანთან კონფლიქტის გამო ახსოვს. არადა, იყო მომენტები, როდესაც არანაკლებ სკანდალურად იქცეოდა, რასაც ინტერვიუში არ მალავს.

– 10 წელი თამაშობდი ინტერში. შეგეძლოთ მილანში გადასვლა?

– იყო ასეთი მომენტი. ერთ-ერთ სეზონში ინტერში სათამაშო დრო მჭირდებოდა, რადგან 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ახლოვდებოდა. მილანმა თვითონ შემომთავაზა გადასვლა. მივედი ინტერის პრეზიდენტთან – 3 საათი ვილაპარაკეთ. შემდეგ დავურეკე ნაკრების მწვრთნელ მარსელო ლიპის. მან მითხრა, რომ სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის მიუხედავად, მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც წამიყვანდა. ამან მოტივაცია მომცა. ინტერში დარჩენის გადაწყვეტილება მივიღე, ლიპიმ კი თავისი სიტყვა შეასრულა – წავედი მუნდიალზე. დანარჩენი იცი...

– რას ნიშნავს შენთვის მილანური დერბი? ხედავდი მას, როგორც ომს, რომელიც აუცილებლად უნდა მოიგო?

– რაც არ უნდა თქვან, იტალიაში უფრო „ცხელი“ დერბებიც არის, ვიდრე მილანი-ინტერი. მაგალითად, ჯენოა-სამპდორია, რომა-ლაციო, ტორინო-იუვენტუსი... გენუაში დერბი, ზოგადად, ცალკე ჩემპიონატს ჰგავს. დიახ, მილანთან სერიოზული ომები და ჩეხვა იყო, მაგრამ ეს უფრო საფეხბურთო თეატრს ჰგავდა. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ნორმალური ურთიერთობა ბრუნდებოდა. ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის პატივს ვცემდით.

– როცა ვუყურე მატჩებს შენი მონაწილეობით, დავრწმუნდი, რომ პატივს არ სცემდით მილანის ზოგიერთ ფეხბურთელს, განსაკუთრებით – შევჩენკოსა და იბრაჰიმოვიჩს.

– დიახ, მახსოვს ბინძური შეტაკებები შევჩენკოს წინააღმდეგ. მოედანზე მეგობრები არ არსებობენ. უნდა მოიგო ნებისმიერ ფასად. შევჩენკო არის დიდი ფეხბურთელი და მწვრთნელი, მაგრამ მაშინ ჩემი მტერი იყო. ეს ომია! ჩემთვის ნამდვილად არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორ მოვიგებდით. გამოვიყენე ილეთები, რომელსაც შეეძლო მათთვის ზიანის მიყენება, მაგრამ არაფერს ვნანობ. მაშინაც კი, როცა შევჩენკო დერბიზე ყბაზე ფოლადის ფირფიტებით გამოვიდა, ვუთხარი, რომ ამ მატჩში რაღაც ცუდი დაემართებოდა. მან გაიცინა. ის ისეთივე მებრძოლია, როგორც – მე. არაფრის ეშინოდა... და ეს ძალიან მაგარი იყო.

– და რაც შეეხება იბრაჰიმოვიჩს? სანამ მილანი-ინტერის დერბიში დაუპირისპირდებოდით, მანამდე თანაგუნდელები იყავით. თუმცა, იმ დერბიში შენზე გაშლილი ფეხით წამოვიდა.

– პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ კარგად ვიცოდი, ვინ იყო იბრაჰიმოვიჩი ჯერ კიდევ მაშინ, როცა მან ინტერი დატოვა. ის წავიდა ზუსტად იმ სეზონის დაწყებამდე, როდესაც ჩემპიონთა ლიგა, სერია ა და იტალიის თასი მოვიგეთ. საქმე ის იყო, რომ ზლატანს იმ ინტერის არ სჯეროდა – გუნდის, რომელშიც თამაშობდა და გონებით უკვე ბარსელონაში იყო, იმ უცხოპლანეტელებთან ერთად – ჩავი, მესი, ინიესტა... მას ეგონა, რომ ბარსელონაში აუცილებლად მოიგებდა ჩემპიონთა ლიგას, მაგრამ პირიქით აღმოჩნდა. იბრაჰიმოვიჩმა ვერ გათვალა. მერე წავიდა მილანში და რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დერბიში შევხვდით, მის მიმართ მხოლოდ ზიზღი და სიძულვილი მქონდა. მას რომ არ ჩაერტყა ჩემთვის ფეხი, ამას აუცილებლად მე გავაკეთებდი. უბრალოდ, ეს დროის საკითხი იყო. სხვათა შორის, მას ჯერ კიდევ არ მოუგია ჩემპიონთა ლიგა.

– მილანთან ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ, სახეზე ბერლუსკონის ნიღაბი გაიკეთე და მოედანზე დარბოდი. შესაძლებელია ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ასე დასცინო?

– ეს უბრალო ხუმრობა იყო. ბავშვებთან ერთად ვიყავი სუპერმარკეტში და იქ ვნახე ბერლუსკონის ნიღაბი. ბავშვებს ვუთხარი, რომ თუ დერბიში მოვიგებთ, ამ ნიღაბს პირდაპირ მოედანზე გავიკეთებ-მეთქი. ღმერთმა იცის, არ მინდოდა მისი შეურაცხყოფა! მაგრამ ყველაფერი სკანდალში გადაიზარდა. მითხრეს, რომ ბერლუსკონი ჩემი საქციელის გამო, რბილად რომ ვთქვათ, აღელდა. შედეგად, იტალიის თავდაცვის მინისტრი ინიაციო ლა რუსა, რომელიც ინტერის გულშემატკივარია, შემპირდა, რომ ბერლუსკონისთან სატელეფონო საუბარს მომიწყობდა, რათა მისთვის პირადად მომეხადა ბოდიში. მე-2 დღეს დავურეკე. ბერლუსკონი ჩუმად მისმენდა, შემდეგ ყურმილი დაკიდა... როგორც ჩანს, ჩემი ბოდიში არ მიიღო. საშინლად ვგრძნობდი თავს. მაგრამ ახლა დრო გავიდა და, როგორც ჩანს, ყველაფერი დაწყნარდა. არანაირი შედეგი არ მოჰყოლია არც ჩემთვის და არც ჩემი ოჯახისთვის.

– ჟოზე მოურინიო შენს კარიერაში ყველაზე ძლიერი მწვრთნელია?

– ჩემს კარიერას 2 ნაწილად დავყოფდი – მოურინიომდე და მოურინიოს შემდეგ. როცა ის ინტერის მწვრთნელი იყო, ჩვენ მილანთან ყველა დერბი მოვიგეთ. მას ტაქტიკასა და საწვრთნელ პროცესში სრულიად ახალი მიდგომა ჰქონდა. ეს არ იყო იტალიური საფეხბურთო დოგმები, რომელიც სერია ა-ში დომინირებდა. მოურინიო არის ჩემი მეგობარი, მამა და ძმა. მან იცოდა თავისი ბერკეტების სწორად გამოყენება და ყველამ დაინახა, რა შედეგიც მივიღეთ. მის დროს თითქმის არ ვთამაშობდი, მაგრამ გვქონდა ურთიერთნდობა და პატივისცემა. მოურინიოსთან ერთად მუშაობა სიამოვნება იყო და მინდა იმ 2 წლისთვის მადლობა გადავუხადო.

– მილანურ დერბიში წაგების შემდეგ როგორ უმკლავდებოდით აგრესიას ინტერის ფანებისგან?

– ზოგჯერ ასეც ხდებოდა, მაგრამ მილანის, როგორც ქალაქის, ხიბლი ის არის, რომ გულშემატკივრების უმეტესობა ადეკვატურად აღიქვამს რეალობას. გარდა ამისა, პირადად მე,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

შედეგები

9 მაისი

ფეხბურთი

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-ტენერიფე 0:1

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-რომა 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.მილანი	36	24	8	4	64-31	80
2.ინტერი	36	23	9	4	78-31	78
3.ნაპოლი	36	22	7	7	68-31	73
4.იუვენტუსი	36	20	9	7	55-33	69
5.ლაციო	36	18	8	10	72-53	62
6.ატალანტა	36	16	11	9	65-45	59
7.რომა	36	17	8	11	55-42	59
8.ფიორენტინა	36	18	5	13	56-47	59
9.ვერონა	36	14	10	12	62-55	52
10.ტორინო	36	12	11	13	45-38	47
11.სასუოლო	36	12	11	13	61-62	47
12.უდინეზე	36	10	14	12	55-55	44
13.ბოლონია	36	11	10	15	42-52	43
14.ემპოლი	36	9	10	17	48-69	37
15.სამპდორია	36	9	6	21	42-59	33
16.სპეცია	36	9	6	21	38-66	33
17.სალერნიტანა	36	7	9	20	32-73	30
18.კალიარი	36	6	11	19	33-65	29
19.ჯენოა	36	4	16	16	27-56	28
20.ვენეცია	36	6	7	23	33-68	25

პორტუგალია. პირველი ლიგა

ბელენენსეში-ფამილიკაო 2:3

თურქეთი. სუპერლიგა

ანთალია-ქონია 3:2

პოლონეთი. ექსტრაჯალასა

ლენჩნა-ნეცეჩა 1:1

დანია. სუპერლიგა

ვიბორგი-ვეილე 2:2

შვედეთი. ალსვენსკა

ვერნამო-ჰაკენი 1:2

სუნსვალდი-დეგერფორსი 2:3

ჰელსინბორგი-ნორჩიოპინგი 0:1

ელფსბორგი-დიურგარდენი 0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა



დავით გურამიშვილის პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი დაიწყო

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ და ოსკარ შინდლერის აკადემიამ დავით გურამიშვილის პრემიის მოსაპოვებლად ერთი ლექსის კონკურსი გამოაცხადა.

ინფორმაცია რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა დავით შემოქმედელმა გაავრცელა:

– ერთი ლექსის კონკურსი დავით გურამიშვილის პრემიის მოსაპოვებლად. კონკურსის ორგანიზატორები: სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება და ოსკარ შინდლერის აკადემია.

პირველი პრემია – 500 ლარი, მეორე პრემია – 300 ლარი, მესამე პრემია – 200 ლარი. ფულად პრემიასთან ერთად გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებით.

კონკურსზე გამოგზავნილი უნდა იქნას ავტორის ერთი ლექსი 5 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით. დასაშვებია ბოლო 3 წელიწადში გამოქვეყნებული ან ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსი. გამოქვეყნებული ლექსის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი გამოცემა.

გამარჯვებულთა დაჯილდოება 3 ივნისს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„დავტოვე კომფორტის ზონა და აღმოვჩნდი იტალიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ვინ შეიძლება ერთგულების ნაკლებობაში დამადანაშაულოს? მე ვიბრძოდი და ვკვდებოდი მოედანზე ყოველ დერბიში. ხან ვიგებდით, ხან – ვერა... ინტერის „ულტრასები“ ხედავდნენ და გრძნობდნენ ყველაფერს. პირადად სერიოზული პრობლემა არ მქონია... მაგრამ ერთი შემთხვევა არ მავიწყდება. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ მილანში დავბრუნდით. აეროპორტში 50-მდე ტიფოზი დაგვხვდა. ისინი ძალიან აგრესიულები იყვნენ. როცა ხავიერ ძანეტი ავტოსადგომზე თავის მანქანაში ჯდებოდა, რამდენიმე გულშემატკივარი თავს დაესხა. დაიწყო ჩხუბი, რომელიც სულ 20-30 წამი გაგრძელდა, სანამ პოლიცია არ ჩაერია. ძანეტი შოკში იყო!

– გაიხსენე პირველი მილანური დერბი. რა გრძნობაა ეს?

– ინტერში პერუჯადან მივედი. ეს პატარა გუნდია, უამბიციო... დავტოვე კომფორტის ზონა და აღმოვჩნდი იტალიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში. როცა დერბის წინ ინტერის ფეხბურთელებთან ერთად ავტობუსში ავედი, დავინახე, რომ გარშემორტყმული ვიყავით ათასობით გულშემატკივრით, პოლიციელებით... წარმოიდგინეთ, რა ატმოსფეროა. მერე უკვე, როცა გვირაბიდან გავედი მოედანზე და დავინახე გადატენილი „სან სირო“, შოკში ვიყავი. მაშინვე ხვდები, რამხელა პასუხისმგებლობა გაწვება მხრებზე. შემდეგ ეს გამოვიყენე როგორც მოტივაცია, რამაც საშუალება მომცა, მომეშორებინა მთელი რისხვა და აგრესია მოწინააღმდეგის მიმართ! ვწუხვარ, რომ ინტერში ცუდ ნოტზე დავამთავრე. მოურინიოს შემდეგ მოვიდა ის იდიოტი ბენიტესი, რომელმაც რამდენიმე ახალი წესი შემოიღო: ოფისიდან ინტერის ყველა ყოფილი მწვრთნელის ფოტოების ჩამოხსნას ითხოვდა, მათ შორის, ჟოზესიც. ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო და ვუთხარი ყველაფერი, რასაც მასზე ვფიქრობდი. ბენიტესი მშიშარაა. ეს ის ადამიანია, რომელიც პარასკევს საღამოს შევა ბარში და 5 წუთში ცხვირ-პირში დარტყმას მიიღებს.

– რომელ მილანურ დერბის გამოყოფდი?

– ასეთი ორია. ერთი ის იყო, რომელიც ვერ დასრულდა, რადგან გულშემატკივრებმა მოედანზე პეტარდები გადმოყარეს. ეს იყო ჩვენი მატჩი ჩემპიონთა ლიგაში, 2005 წელს. გახსოვთ, მაშინ მილანის მეკარე დიდასაც მოარტყეს თავში პეტარდა. მეორე დერბი, რომელიც ყველაზე კარგად მახსოვს, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იყო, 2006 წლის შემოდგომაზე, 4:3 მოვიგეთ. იმ თამაშში მოედნიდან გამაძევეს. მატჩის წინ ჩემს შვილს, დავიდეს,

დავპირდი, რომ მოედნიდან მივულოცავდი დაბადების დღეს. გამაქვს გამარჯვების გოლი, ვწევ მაისურს და ვაჩვენებ ქვედა მაისურს წარწერით – გილოცავ დაბადების დღეს! ამის გამო ყვითელი ბარათი მივიღე, რამდენიმე წუთის შემდეგ კი, მეორე ყვითელს ვიღებ და... გაძევება იყო ფასი, რომელიც გადავიხადე ჩემი შვილისთვის დანაპირების შესასრულებლად. მაგრამ არ ვნანობ, მთავარია, ის ბედნიერი იყო!

– შევეშვათ დერბის და ვილაპარაკოთ თანაგუნდელებთან შენს ურთიერთობაზე. ბარსელონასთან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის შემდეგ მარიო ბალოტელისთან იჩხუბე. რა მოხდა?

– მე არ ვიტყოდი, რომ ეს ჩხუბი იყო. უბრალოდ, ვცემე. ფინალური სასტვენის შემდეგ მან მაისური გაიხადა, მოედანზე ისროლა და გასახდელში შევიდა. ძალიან გავბრაზდი. მაგრამ თქვენ იცით, ეს არც იყო მთავარი მიზეზი, ეს იყო ბოლო წვეთი! მატჩის დაწყებამდე მან ავტობუსში პირდაპირ თქვა, რომ თუ მოედანზე გავიდოდა, ცუდად ითამაშებდა. ვუთხარი, რომ თუ მართლა ასე მოხდებოდა, მაშინ ჩემთან პრობლემები ექნებოდა. ეს ფეხბურთია – ვნება, ემოციები. სხვათა შორის, ამ ისტორიას გაგრძელებაც აქვს – მომდევნო ვარჯიშებზე ვთხოვე მწვრთნელს, ორმხრივი თამაშის დროს ბალოტელის წინააღმდეგ დავეყენებინე. დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მან ნოკაუტი მიიღო და გასახდელში დროზე ადრე გავიდა... მაგრამ ახლა მე და მარიო ვმეგობრობთ, ერთმანეთს დღეში 100 ტექსტურ შეტყობინებას ვუგზავნით. მოკლედ, ყველაფერი კარგადაა.

– ალბათ, ბევრს ჯერ კიდევ აწუხებს კითხვა, რა უთხარი ზიდანს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის დროს, რის გამოც მკერდზე თავი დაგარტყა?

– თამაშის დროს ხშირად ვქაჩავდი მაისურზე. მითხრა, თუ მისი მაისური მჭირდებოდა, ფინალის შემდეგ მომცემდა. ამაზე მე ვუპასუხე, რომ მაისურს მისი და მერჩივნა.

– იბრაჰიმოვიჩი ამბობს, რომ ცნობილი მთელ მსოფლიოში ზიდანმა გაგხადა და რომ ზიდანის გარეშე დარჩებოდი ერთ ჩვეულებრივ მცველად, იტალიის გარეთ არავის ეცოდინებოდი.

– არ ვუსმენ იბრაჰიმოვიჩის ნალაპარაკებს. იმან უფრო გამაბრაზა, რომ ამ საქციელისთვის ზიდანს მხარი ყველა ფრანგმა დაუჭირა, მე კი იტალიელებმა ზურგი მაქციეს. პირიქით, მათ ის მიწა უნდა ეკოცნათ, რომელზეც დავდიოდი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიტანე ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი და მეტოქის ლიდერი გავაძევებინე მოედნიდან. მადლიერების ნაცვლად, მივიღე მხოლოდ კრიტიკის დიდი დოზა.

– შეხვდით ზიდანს იმ ინციდენტის შემდეგ?

– დიახ. ერთხელაც, სასტუმროდან გამოვდივარ და მეუბნებიან, რომ ზიდანის მანქანა ჩემი მანქანის გვერდითაა გაჩერებული. განზრახ გავჩერდი მის მანქანასთან და დაველოდე. რამდენიმე წუთის შემდეგ მანაც დატოვა სასტუმრო და საკუთარ მანქანას მოუახლოვდა. ძალიან გაუკვირდა, როცა დამინახა. რაც მაშინ ვუთხარი, სამუდამოდ დარჩება ჩვენ შორის. ერთს ვიტყვი – მე უფრო მეტს ვლაპარაკობდი, ვიდრე ის. საუბრის ბოლოს მან ხელი გამომიწოდა. მე მაგრად ჩავჭიდე და არ გავუშვი მანამ, სანამ პირდაპირ თვალებში არ შემომხედა. ეს იყო ის, რაც მინდოდა.

– უახლოეს მომავალში საკუთარ თავს ინტერის მწვრთნელად ხედავთ?

– ეს სერიოზული კითხვაა. ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ოცნებაა, რადგან ახლა სამწვრთნელო საქმიანობაში ჩართული არ ვარ. თუმცა მაქვს უეფას პრო-ლიცენზია. აქედან გამომდინარე, ეს ძნელად შესაძლებელია ახლო მომავალში. თუმცა, არასოდეს თქვა – არასოდეს.

ლოკომოტივმა ისევ წააგო

გაგრა-ლოკომოტივი 5:3

თბილისი. დინამო არენა

1:0 ანდრონიკაშვილი (7სკ), 1:1, 1:2 იაკობიძე (15, 49ჯ), 2:2 ჩოგაძე (59), 3:2 გიორგაძე (64სკ), 4:2 შონია (73), 5:2 ბუხაიძე (82), 5:3 დარცმელია (87)

გაგრა: ბ.ქურდაძე, ხოსიტაშვილი, კვირკველია, ჭანტურია, შონია, სულთანიშვილი (შეწირული 72), ჩოგაძე (ოლხოვი 83), ქობულაძე, ვეკუა (ხაბელაშვილი 72), ვაწაძე (ბუხაიძე 83), კვირკვია (ფარულავა 83)

ლოკომოტივი: თევდორაძე, გიორგაძე, ანდრონიკაშვილი (კეკელიძე 66), ჯაფარიძე, იაკობიძე (შეყილაძე 61), სამურკასოვი (ზოსიაშვილი 85), დარცმელია, ომარაშვილი, ჭიაბრიშვილი (მუკბანიანი 66), ხარაიშვილი, ქველაძე

გაგრამ დინამო არენაზე 5:3 მოუგო ლოკომოტივს, რომელსაც ჯერ ქულა არ აუღია. პირველ ტაიმში 2 სწრაფი გოლი გავიდა. ჯერ გაგრა დაწინაურდა ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ავტოგოლით, მერე კი ლოკოდან გიორგი იაკობიძემ გაათანაბრა.

მე-2 ტაიმის დასაწყისში იაკობიძემ პენალტით წინ გაიყვანა სტუმრები, თუმცა მხოლოდ 10 წუთით... ამის შემდეგ გაგრამ ზედიზედ 4 ბურთი

გაიტანა: თემურ ჩოგაძემ გაათანაბრა, ანდრო გიორგაძემ ავტოგოლი მიითვალა, ამას მოჰყვა თეიმურაზ შონიასა და გიორგი ბუხაიძის გოლები. ლოკომოტივიდან კი ბოლო წუთებზე ბექა დარცმელიამ მოახერხა სხვაობის შემცირება – 5:3.

გაგრა მე-6 ადგილზეა. გაგა კირკიტაძის გაწვრთნილმა გუნდმა ბოლო 4 მატჩიდან 3 მოიგო.

სამგურალი-თელავი 2:1

წყალტუბო. 26 მაისი

1:0 რუხაძე (4), 2:0 კალანდარიშვილი (27), 2:1 ძოწლაძე (88)

სამგურალი: შოვნაძე, ი.ახვლედიანი (ს.კუხიანიძე 70), გილმორი, მაისაშვილი, ჩიხლაძე (სიმდიანკინი 70), რუხაძე (ვერულიძე 78), კალანდარიშვილი (გ.თევზაძე 40), ლ.ქურდაძე, მ.ბაშელეიშვილი (შ.ბურჯანაძე 78), კიკაბიძე, ჯერარდო

თელავი: სანიკიძე, ც.კაპანაძე (პავიშიჩი 46), მარაქველიძე, ზ.თევზაძე, ქანთარია (ქოჩლაძე 63), აშორტია, გოშთელიანი (მახარობლიძე 46), ჯიქია, ფაცაცია, ხაბულიანი (პარკინაშვილი 63), თოლორდავა (გიგაშვილი 70)

წყალტუბოს სამგურალმა ზედიზედ მე-3 თამაში მოიგო – თელავთან 2:1.

სწრაფი გოლი გაიტანა წყალტუბოელთა შემტევმა ირაკლი რუხაძემ, რომელიც გასულ წელს თელავში თამაშობდა და გოლი არ აღნიშნა. პირველ ტაიმშივე ნიკა კალანდარიშვილმა ორამდე გაზარდა სხვაობა.

კახელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ 88-ე წუთზე ლაშა ქოჩლაძემ გაიტანა და იმედი დაუტოვა თელავს. თუმცა არაფერი აღარ შეცვლილა – 2:1.

სამგურალი მე-5 ადგილზეა და მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება მეორეადგილოსანს.

სატუნიორ ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	12	8	3	1	28-7	27
2.დინამო (თბ)	12	6	4	2	21-11	22
3.დილა	12	7	1	4	15-11	22
4.საბურთალო	12	6	3	3	19-13	21
5.სამგურალი	12	5	5	2	15-9	20
6.გაგრა	12	5	2	5	17-20	17
7.თელავი	12	4	4	4	15-10	16
8.ტორპედო	12	3	2	7	8-20	11
9.სიონი	12	2	4	6	14-26	10
10.ლოკომოტივი	12	0	0	12	9-32	0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

კლარა წიტაიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

თინა სორდია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. იაფფასიანი ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისთვის; 5. აბრეშუმის ჭია; 6. იტალიელი კომპოზიტორი, მევიოლინე; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. ტყეში ბინადარი დიდი, გარეული ხარი; 16. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ქართველი სუმოისტი; 23. ქუდების მკერავი ძველად საქართველოში; 24. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 25. მდინარე ოზურგეთში; 26. უბანი ქუთაისში.

თარაზულად: 7. კურორტი დუშეთის რაიონში; 8. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 12. მამათა მონასტერი; 13. დაბალი ხის მაგიდა; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 21. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ვაშლის ღვინო; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტებისთვის; 28. ქართველ სახალხო მკურნალთა საგვარეულო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყუმი; 2. აბე; 3. ჰამილტონი; 4. სარკე; 5. ჰარიერი; 8. ჯარა; 9. პეტარდა; 10. საფიჩხია; 12. სლენგი; 13. უფიცა; 15. ულისე.

თარაზულად: 1. ყეენობა; 6. დაბახანა; 7. მიჯნა; 10. სპილო; 11. ერაძე; 13. ურალი; 14. კრუზი; 16. ნომი; 17. იამაიკა; 18. შეკელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პალერმო; 2. აბული; 3. მოძახილი; 4. დროზერა; 5. შამპანური; 9. აკვანი; 12. ტონიაცი; 14. კურტუა; 15. ჩილე; 17. ჯამნა; 18. ლიდა.

თარაზულად: 6. სამება; 7. კოტირება; 8. პეპელა; 10. ზეზვა; 11. როინიშვილი; 13. სკუპჩინა; 16. კოტეჯი; 19. იატაგანი; 20. ვალმარტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0321

ევრო — 3.1977

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7459

100 რუსული რუბლი — 4.3768

ამინდის პროგნოზი 11 მაისისათვის

ასტონ ვილა კოუტინიოს გამოსყიდვას აპირებს

ასტონ ვილა ფელიპე კოუტინიოს გამოსყიდვას აპირებს და მზად არის, რომ მასში 20 მილიონი გადაიხადოს და ეს თანხა ბარსელონას აკმაყოფილებს, რადგან ისინი არ აპირებენ კოუტინიოს დაბრუნებას.

ხავის გეგმებში ბრაზილიელი ნახევარმცველი არ შედის.

კოუტინიომ ასტონ ვილაში კარგი სეზონი ჩაატარა და გასაკვირი არ არის, რომ ასტონ ვილას მისი გამოსყიდვის სურვილი გაუჩნდა.

სიტიმ პოლ პოგბას კონტრაქტი შესთავაზა

მანჩესტერ სიტის პოლ პოგბას ყიდვა მოუნდა და მათ ფეხბურთელს კონტრაქტიც შესთავაზეს, რომლის მიხედვითაც, პოგბას მაღალი ანაზღაურება ექნება, თუმცა კონკრეტული თანხა ჯერ არ სახელდება.

პოგბას დარჩენის შესახებ მანჩესტერ იუნაიტედში ხშირად საუბრობენ, თუმცა პოგბას ჯერ ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

შესაძლოა, ის საფრანგეთში დაბრუნდეს.



ტუჰელი ჩელსის ფეხბურთელებს ეჩხუბა

ჩელსიმ ვულვერჰემპტონთან ქულები დაკარგა და გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ჩელსი გასახდელში დაძაბული სიტუაციაა და ეს ცნობები თითქმის დაადასტურა ტომას ტუჰელმაც, რომლის თქმითაც, მას ფეხბურთელებთან სერიოზული საუბარი ჰქონდა. ტუჰელის აზრით, ჩელსი არ აჩვენებს იმ ფეხბურთს, რასაც მისგან ელიან და ეს პრობლემა უნდა აღმოიფხვრას.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„მასტერშეფი“ ალინა ეფიმოვამ და თამრი ხურცილავამ დატოვეს

კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ მისი მთავარი შეფების კონსტანტინე თედელურის, თეკუნა გაჩეჩილაძის, ლევან კობიაშვილისა და ლუკა ნაჭყებიას გადაწყვეტილებით, ორმა კონკურსანტმა – ალინა ეფიმოვამ და თამრი ხურცილავამ დატოვა.

შეფების მიერ კონკურსანტებისთვის მიცემულ დავალებებს ყველაზე ცუდად თავი სწორედ ამ ორმა კონკურსანტმა გაართვა.

საკონკურსო შეჯიბრის დასრულების შემდეგ შეფებმა გავარდნის სამი კანდიდატი დაასახელეს: ეველინა შაგინოვა, ალინა ეფიმოვა და თამრი ხურცილავა. ლევან კობიაშვილმა საბოლოო გადაწყვეტილება გაახმოვანა – ეველინა შაგინოვა საუკეთესო კერძის მომზადებისთვის კუთვნილ ადგილს დაუბრუნა, ალინას და თამრის კი წინასაფრების მოხსნა და სამზარეულოს დატოვება სთხოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 მაისისათვის

ვერძი – ვარსკვლავები გაფრთხილებენ, იყავით წინდახედული და დაფიქრებული. ერიდეთ უსარგებლო კონტაქტებსა და აქტიურობას. ** კურო** – მშვენიერი საშუალება გეძლევათ თვითდამკვიდრებისათვის. ნებისმიერი კაპიტალდაბანდება გაამართლებს. **ტყუპები** – ყოველგვარი საქმე გადადეთ. განმარტოვდით და დაისვენეთ. ყოველგვარი კონტაქტი ნეგატიურია. **კირჩხიბი** – ოპტიმისტური დღეა. იყავით თავდაჯერებული. ახალი ნაცნობობა კმაყოფილებას მოგგვრით. **ლომი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უყოყმანოდ მიიღეთ. რამდენიმე პრობლემას ერთდროულად მოაგვარებთ. **ქალწული** – შეცდომების აღიარება და გამოსწორება არ გაგიჭირდებათ. მთავარია, მოინდომოთ. **სასწორი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დროებითი სიძნელეები შეგხვდებათ, თუმცა მათ თავს საკმაოდ იოლად გაართმევთ. **მშვილდოსანი** – კარგი იქნება, თუ განმარტოვდებით და თავს მოდუნების უფლებას მისცემთ. კონტაქტები მაქსიმალურად შეამცირეთ. **თხის რქა** – ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. სიხარულს მოგანიჭებთ ბავშვებთან ურთიერთობა. **მერწყული** – დღეს შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. კამათში ნუ ჩაერევით. მხოლოდ საკუთარი საქმით დაკავდით. **თევზები** – ყოველგვარი სიახლე გაამართლებს. ეს ეხება როგორც საყიდლებზე წასვლას, ისე ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობას.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი ყოფილი როგორ გაიცანი?

– უბრალოდ. ქუჩაში მასთან მივედი და ვუთხარი, რომ ჩემთვის შანსი მოეცა. მანაც მომცა.

– და რატომღა გაშორდი?

– აღმოჩნდა, რომ ჩემი შანსი ასიდან ერთი იყო.

●●●

სეირნობიდან სახლში დედასთან ერთად დაბრუნებულ ბავშვს ხელში უამრავი საჰაერო ბუშტი უჭირავს. მამამ შეხედა და ცოლს მიუბრუნდა:

– რა ამბავი ბუშტი გიყიდია? რა, აღარ იცი, ფული რაში გადაყარო?

– მამიკო, დედიკოს ბუშტები საერთოდ არ უყიდია, მათ, უბრალოდ, მის ყოველ შენაძენზე მჩუქნიდნენ!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩვენ, ქალები, პასუხს ვაგებთ შინაურებზე...

– შენთვის ადვილია მაგის თქმა, თუთიყუში გყავს სახლში, მე კი დამშეული ქმარი და ბავშვები.

●●●

კაცი ღვთისმსახურს ეკითხება:

– მამაო, თუ მე ჰოროსკოპით ვერძი ვარ, რომელ ხატს უნდა შევევედრო განკურნება?

– თუ ვერძი ხარ, ვეტერინარს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ამ ზაფხულს სად აპირებ დასვენებას?

– ძირითადად სამსახურში, ზოგჯერ სახლშიც მივალ ხოლმე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლევან კოღუაშვილის „მეოთხე ბრაიტონს“ ათენში აჩვენებენ

კინორეჟისორის ლევან კოღუაშვილის ფილმს „მეოთხე ბრაიტონი“ ათენში აჩვენებენ. სურათი „ოქროს გლობუსსა“ და „ოსკარზე“ იყო ნომინირებული და საერთაშორისო მედიის დიდი ყურადღება დაიმსახურა.

15 მაისს ემიგრანტებისადმი მიძღვნილი ფილმის სანახავად ათენში ათასობით ქართველი შეიკრიბება. ლევან კოღუაშვილის ნამუშევარი ქართველი მსახიობის კახი კავსაძის ხსოვნას ეძღვნება, რადგან სწორედ „მეოთხე ბრაიტონი“ აღმოჩნდა უკანასკნელი ფილმი, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო.

ლევან კოღუაშვილის ნამუშევარმა ტრიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალზე სამი პრიზი დაიმსახურა. ჯილდოს მფლობელი გახდა ლევან თედიაშვილი – მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

გიორგი შენგელაიას 85 წლის იუბილეს კინოაკადემია აღნიშნავს

11 მაისს საქართველოს კინოაკადემია ქართული კინოს დიდოსტატის, შედევრების ავტორის, გენიალური ქართველი კინორეჟისორის და მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის და უამრავი ჯილდოს მფლობელის გიორგი შენგელაიას საიუბილეო ხსოვნის საღამოს აწყობს. 11 მაისს ხელოვანს 85 წელი შეუსრულდებოდა.

– ორი სიტყვა, რომელიც სრულიად საკმარისია გიორგი შენგელაიას შემოქმედების და, თუ გნებავთ, მისი პიროვნების დასახასიათებლად – „მარადიული მეამბოხე“ – 60-იანი წლების დასაწყისში, ალექსანდრე დოვჟენკოს მოწაფემ, ამბოხით დაიწყო. კოლეგები, კინოს ისტორიკოსები და კრიტიკოსები მას 60-იანელთა სიმბოლოდ მიიჩნევენ.

მადლიერი მაყურებელი კი ასე აფასებს ბატონ გიორგის და მის შემოქმედებას, რაშიც სრულიად ვეთანხმებით: „გიორგი შენგელაიას შემოქმედება არის იმის საფუძველი და დასტური, რომ დღეს ჯერ კიდევ შეიძლება გვეწოდოს კულტურული ერი!“

საქართველოს კინოაკადემიის ლურჯ კინოდარბაზში გავიხსენებთ ბატონ გიორგის, მის შემოქმედებას და წარმოგიდგენთ გიორგი შენგელაიას შედევრის – „ალავერდობა“ აღდგენილ ვარიანტს. ფილმს, რომელიც ქართველ რეჟისორთა, 60-იანელი თაობის ერთ-ერთი მთავარი მანიფესტი, მსოფლიო კინოს შედევრი და სამყაროსთვის – ქართული კულტურის უვადოდ წარგზავნილი დესპანია!

„ალავერდობას“, რომელიც გიორგი შენგელაიამ 1962 წელს გადაიღო, სერგეი გერასიმოვმა „ქართული კინოს აღორძინება“ უწოდა.

გიორგი შენგელაია თავად ჰგავდა „ალავერდობის“ გმირს – მარადიული მეამბოხე, დაუდგრომელი, ბობოქარი, რომელიც ახლაც გვაფხიზლებს „ალავერდის გუმბათიდან“: „წამით მაინც გამოვაფხიზლებ მათ მოდუნებულ ვნებას...“

მარადიული და ნათელი ხსოვნა ბატონი გიორგი შენგელაიას შემოქმედებას და სულს! – ნათქვამია საქართველოს კინოაკადემიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ხელოვნების სასახლეში იტალიელი ფოტოგრაფის ნამუშევრები გამოიფინება

ხელოვნების სასახლეში იტალიელი ფოტოგრაფის ჯონ რენდოლფ პეპერის გამოფენა „იტალიის ფრაგმენტები 1970-2010“ გაიმართება.

ეს საერთაშორისო იტალიელი ფოტოგრაფის პირველი პერსონალური გამოფენაა საქართველოში. პეპერი იღებს მხოლოდ ანალოგური შავ-თეთრ ფოტოებს და ბეჭდავს ბარიტის ქაღალდზე. „იტალიის ფრაგმენტები“ არის 1970-2010 წლებში გადაღებული ფოტოების კრებული რომში, სიცილიასა და სამხრეთ იტალიის სხვა ქალაქებში გადაღებული სერიებიდან. პეპერი გაიზარდა რომში, დოლჩე ვიტაში, მხატვარი მშობლების ოჯახში. 12 წლის ასაკში დაიწყო გადაღება პენტაქსის კამერით და 35 მმ ლინზებით. იყო უგო მულასის შეგირდი. იტალიურ ნეორეალიზმს გამოფენაც მიუძღვნა.

რომში დაბრუნების შემდეგ, ხელოვანმა შეისწავლა მშობლიური ქალაქი და ნახა, თუ რა შეიცვალა და რა დარჩა იგივე. მან გამოსცა ოთხი ალბომი. მისი ნამუშევრები რეგულარულად იფინება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში – ამერიკაში, ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, სპარსეთის ყურის რეგიონში, რუსეთში. თავისი სერიით „დასახლებული უდაბნოები“ პეპერი იყო ერთ-ერთი პირველი იტალიელი ფოტოგრაფი, რომელმაც რევოლუციის შემდეგ გამოფენა მოაწყო თეირანში და რამდენიმე კვირის შემდეგ ერთდროულად აჩვენა იგივე ნამუშევრები ისრაელში.

„იტალიის ფრაგმენტები 1970-2010“ შედგება 40 ფოტოსგან, სადაც ფოტოგრაფმა გადაიღო ადამიანები, რომლებსაც შემთხვევით შეხვდა იტალიაში მოგზაურობისას. პეპერი არის დამკვირვებელი, ის შორიდან ასახავს ადამიანის ცხოვრებას, რომელიც მოწყვეტილია კულტურული ან დროითი ფაქტორისგან. ის არის ქუჩის ფოტოგრაფების კლუბის წევრი, მუდამ შეიარაღებულია კამერით და სიტუაციებს სპონტანურად ასახავს. კლასიკური ტრადიციების ერთგული, ქმნის კადრებს, რომლებიც სინამდვილეს წარმოაჩენს და სამყაროს იმგვარი ხედვით გამოირჩევა, სადაც რეალიზმი ეწინააღმდეგება კვაზი-იდუმალ ზღაპარს. მისი ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ასპექტია ის გზა, რომელშიც ის უარყოფს დროს, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ფოტოგრაფიის ბუნებას.

როგორც კურატორმა, ხელოვნებათმცოდნე რობერტა სემერარომ აღნიშნა: „პეპერის ფოტოები მარადიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ძნელია ზუსტი დროითი კონტაციის მინიჭება, თუ როდის არის ისინი გადაღებული. ნამცხვარს ჩაიში ასველებს გედივით, რაც მასში ბავშვობის ასოციაციას იწვევს – როგორ მიირთმევდა ბავშვობაში ჩაის კვირა დღეს, წირვაზე წასვლის წინ. ასე რომ, პეპერი იმეორებს მის დაკარგულ დროს თავის ფოტოებში“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. საწვავი სითხე; 3. მხარე ავსტრიაში; 4. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 5. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 11. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 12. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 14. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. რძის შაქარი; 17. ირანელი ჯარისკაცი; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინის დარგში; 21. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე, რუხი-მოწითალო ფერის სითხე; 22. კურკოვანი ხილი.

თარაზულად: 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ რომში; 8. ამერიკელ მწერალ, სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. თურქული აბანო; 10. საბაჟო-გამშვები პუნქტი სტეფანწმინდის რაიონში; 13, იტალიის პრემიერ-მინისტრი; 15. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ორგანიზმი; 20. ქართული ლუდი; 21. ცხვრისბეწვიანი ტყავისგან შეკერილი ქუდი; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა